EMC

რელიგიის თავისუფლების შეზღუდვისა და რელიგიური კუთვნილების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის საქმეების მიმოხილვა

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მიერ პროექტის „რელიგიის თავისუფლების ხელშეწყობა და რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში.
პროექტი დაფინანსებულია აშშ-ის საელჩოს დემოკრატიული კომისიის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებლები არიან ავტორები და იგი არ გამოხატავს სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიციას.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
შანიძის ქ. 3, 0179, თბილისი, საქართველო
(+995 32) 223 15 58
e-mail:humanrightsemc@gmail.com
emc.org.ge
fb.com/RIGHTSEMC

2015

სარჩევი

I საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ---------- 5

1. სახარების რწმენის ეკლესია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ ---------- 5
2. სასამართლო მეგობრის მოსაზრება (amicus curie) კონსტიტუციურ სარჩელზე, რომელიც სადავოს ხდის რეგულაციებს, რომელიც რელიგიურ ორგანიზაციებს საჯარო ინფორმაციის გაცემისგან ათავისუფლებს ---------- 6

II სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება ---------- 9

1. სოფელ მოხეში მუსლიმების უკანონო დაკავებისა და არაპროპორციული საპოლიციო ძალის გამოყენების საქმე ---------- 9
2. ქობულეთში, მართლმადიდებლების მიერ, მუსლიმი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პანსიონატის საქმიანობისთვის ხელის შეშლის საქმე ---------- 11

III ანტიდისკრიმინაციული მექანიზმები ---------- 14

1. საერთო სასამართლოები ---------- 14

1.1 ქობულეთში, მუსლიმი მოსწავლეების პანსიონატის საქმეზე, სასამართლოში მიმდინარე დავა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და დომინანტი რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლების წინააღმდეგ ---------- 14

1.3 საჯარო სამსახურში მუსლიმი პირის მიმართ რელიგიური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის საქმე ---------- 18

1.4 საპატრიარქოს სკოლიდან განსხვავებული შეხედულების გამო დირექტორის გათავისუფლების საქმე ---------- 20

1.5 რუსთავში სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივით კათოლიკე ეკლესიისთვის მშენებლობის ნებართვის გაცემის გაჭიანურების საქმე ---------- 22

1.6 თერჯოლაში, იეჰოვას მოწმეთა მიმართ, რელიგიის თავისუფლების დისკრიმინაციული მოტივით შეზღუდვის საქმე ---------- 25

2. სახალხო დამცველი ---------- 29

2.1 იმედის ფესტივალის დაგეგმვის პროცესში სახარების რწმენის ეკლესიის მიმართ სავარაუდო დისკრიმინაციის საქმე ---------- 29

2.2. სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ ---------- 31

2.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ პანკისში დაბადებული პირების სავარაუდო დისკრიმინაციის საქმე ---------- 34

IV. სტრატეგიული სამართალწარმოება ინფორმაციის თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით გამჭვირვალე და დემოკრატიული მმართველობის საკითხებზე ---------- 37

1. სასამართლო სარჩელი საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტიდან ინფორმაციის გამოთხოვის საქმეზე ---------- 37

2. მოხეს საკულტო ნაგებობის საქმეზე EMC რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სასამართლოში ედავება ---------- 39

V დისციპლინური დავები ---------- 44

რელიგიის თავისუფლების შეზღუდვისა და რელიგიური კუთვნილების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის საქმეების მიმოხილვა

2014-2015 წლებში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), საქართველოში აშშ-ისა და ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით, ახორციელებს დისკრიმინირებული რელიგიური თემებისთვის უფასო სამართლებრივი დახმარებისა და სტრატეგიული სამართალწარმოების პროგრამას.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, საზოგადოებას გაუზიაროს ინფორმაცია იმ საქმეების შესახებ, რომლებსაც EMC აწარმოებდა და რომლებიც რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ან რელიგიური კუთვნილების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს უკავშირდება. დოკუმენტი მოიცავს მიმდინარე საქმეების დავის არსისა და დასაბუთების მოკლე მიმოხილვას, ასევე, ინფორმაციას საქმეების მიმდინარეობისა და მნიშვნელობის შესახებ. ეს საქმეები, ბოლო პერიოდში, რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ყველაზე სერიოზულ შემთხვევებსა და სისტემურ პრობლემებს ასახავს, რის გამოც, მათზე სახელმწიფოს რეაგირების ეფექტურობის შეფასება ქვეყანაში რელიგიის თავისუფლების მდგომარეობის ინდიკატორად შეიძლება განვიხილოთ. საინფორმაციო ბიულეტენში შესულია 20 საქმე, რომლებსაც განიხილავენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო (2 საქმე), საგამოძიებო ორგანოები (2 საქმე), საერთო სასამართლოები (7 საქმე), სახალხო დამცველი (3 საქმე) და ადმინისტრაციული/დისციპლინური ორგანოები (6 საქმე).

I. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

1. სახარების რწმენის ეკლესია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საქმის აღწერა: წინამდებარე საქმე შეეხება ოთხი რელიგიური ორგანიზაციისათვის (მუსლიმური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომეხთა სამოციქულო ქრისტიანული თემებისათვის) საბჭოთა რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების დისკრიმინაციულ და არასეკულარულ პრაქტიკას, რომელიც რელიგიურ ორგანიზაციებზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მაღალ რისკებს შეიცავს.

დავის არსი და დასაბუთება: სარჩელი EMC-იმ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სახარების რწმენის ეკლესიის სახელით წარადგინა. სარჩელში ორგანიზაცია სადავოდ ხდის „რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების რამდენიმე ნორმატიული ჩანაწერის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 (თანასწორობის პრინციპი) და 21-ე მუხლებთან (საკუთრების უფლება), ასევე, 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან (სახელმწიფოსაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის ანაზღაურება) მიმართებით. დადგენილების მიხედვით, ოთხი რელიგიური ორგანიზაცია (მუსლიმური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომეხთა სამოციქულო ქრისტიანული თემები) საბჭოთა რეჟიმის დროს მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანისათვის სიმბოლურ ანაზღაურებას მიიღებენ. მოსარჩელე ამტკიცებს, რომ მხოლოდ ოთხი რელიგიური ორგანიზაციისათვის ზიანის ანაზღაურება დისკრიმინაციულია, რადგან დადგენილება არ ითვალისწინებს იდენტურ სამართლებრივ რეჟიმს სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც, იმავე პერიოდში, ასევე განიცადეს მატერიალური და მორალური ზიანი. მოსარჩელე მხარე ამტკიცებს, რომ დადგენილება იმავე მდგომარეობაში მყოფი სხვა ჯგუფების გაუმართლებელ დიფერენცირებას ახდენს, ხელისუფლების ასეთი მიდგომა კი

დადგენილება წინააღმდეგობაში მოდის სეკულარიზმის კონსტიტუციურ პრინციპთან და ქმნის რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიაში ჩარევის სერიოზულ საფრთხეებს.

რელიგიური ორგანიზაციების იერარქიზაციის რისკებს შეიცავს.

გარდა ამისა, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ დადგენილება არ განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების მეთოდებს და არ ადგენს კომპენსაციის სამართლიან, ობიექტურ და ზიანთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს. შესაბამისად, დადგენილება წინააღმდეგობაში მოდის სეკულარიზმის კონსტიტუციურ პრინციპთან და ქმნის რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიაში ჩარევის სერიოზულ საფრთხეებს.

საქმის მიმდინარეობა: საკონსტიტუციო სასამართლო ამჟამად საქმის დასაშვებობას განიხილავს და განსახილველ პერიოდში მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის მასშტაბსა და ფორმებს სწავლობს. საქმეზე პირველი მოსმენა უკვე გაიმართა. მეორე მოსმენა კი, რომლის ფარგლებშიც, თეოლოგიისა და ისტორიის მეცნიერების გამოკითხვა იგეგმება, ჯერ არ ჩანიშნულა. ხაზი უნდა გაესვას გარემოებას, რომ საქართველოს მთავრობამ სასამართლოში წარმოდგენილ მის ოფიციალურ პოზიციაში პირდაპირ მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურების დადგენილება მხოლოდ ე.წ. ძირითად რელიგიურ ორგანიზაციებს შეეხო. EMC მიიჩნევს, რომ რელიგიური ორგანიზაციების მსგავსი კლასიფიკაცია თავისთავად დისკრიმინაციულია და მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს გათვალისწინებით, მოკლებულია რელევანტურ სამართლებრივ დასაბუთებას.

მნიშვნელობა: სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში,საკონსტიტუციო სასამართლო განსაზღვრავს სეკულარიზმის კონსტიტუციურ პრინციპს, მის მიმართებას კონსტიტუციის რელევანტურ მუხლებთან და დაადგენს მის მასშტაბსა და სტანდარტებს. სასამართლო ასევე შეაფასებს სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციების იერარქიზაციის ლეგიტიმურობის საკითხს. გადაწყვეტილებაში სასამართლო განმარტავს სახელმწიფოსა და რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულების პრინციპებს, რაც რელიგიური ორგანიზაციების, მათ შორის, მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების არსებული პრაქტიკის ფუნდამენტური გადახედვის შესაძლებლობას შექმნის.

2. სასამართლო მეგობრის მოსაზრება (amicus curie) კონსტიტუციურ სარჩელზე, რომელიც სადავოს ხდის რეგულაციებს, რომელიც რელიგიურ ორგანიზაციებს საჯარო ინფორმაციის გაცემისგან ათავისუფლებს

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ დადგენილება არ განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების მეთოდებს და არ ადგენს კომპენსაციის სამართლიან, ობიექტურ და ზიანთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს. შესაბამისად, დადგენილება წინააღმდეგობაში მოდის სეკულარიზმის კონსტიტუციურ პრინციპთან და ქმნის რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიაში ჩარევის სერიოზულ საფრთხეებს.

საქმის აღწერა: მოსარჩელეები საკონსტიტუციო სასამართლოში დავობენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმ ჩანაწერებზე, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე რელიგიურ ორგანიზაციებს, მათი დაფინანსების ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან ათავისუფლებს, რაც განაპირობებს დაფინანსების პოლიტიკის გაუმჭვირვალობას.

დავის არსი და დასაბუთება: EMC-იმ წარადგინა სასამართლო მეგობრის მოსაზრება სარჩელზე გიორგი კეკენაძე, ნინო კვეტენაძე და ბესიკ გვენეტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (#618). კონსტიტუციურ სარჩელში, მოსარჩელეები დავობენ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლთან მიმართებაში, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმ ნორმების კონსტიტუციურობაზე, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე რელიგიურ ორგანიზაციებს მათი დაფინანსების ფარგლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან ათავისუფლებს.

სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში, EMC ამტკიცებს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე რელიგიური ორგანიზაციებისათვის მინიჭებული პრივილეგია შეუძლებელს ხდის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ფარგლებში რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ საჯარო ინფორმაციის მიღებას. ეს კი ინფორმაციის თავისუფლების გაუმართლებელ და არაპროპორციულ შეზღუდვას წარმოადგენს. EMC-ის სასამართლო მეგობრის მოსაზრება დაწვრილებით განიხილავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ოთხი რელიგიური ორგანიზაციის (საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე მუსლიმური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომეხთა სამოციქულო ქრისტიანული თემები) დაფინანსების პრაქტიკას. მოსაზრებაში მითითებულია, რომ დაფინანსების არსებული პრაქტიკა წარმოადგენს რელიგიური ორგანიზაციების პირდაპირი დაფინანსების მოდელს და არა კომპენსაციის, როგორც ეს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებულ კონსტიტუციურ შეთანხმებასა და სხვა იურიდიულ აქტებშია მითითებული. დაფინანსების აღნიშნული de facto მოდელები ეწინააღმდეგება სეკულარიზმის კონსტიტუციურ პრინციპს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საბიუჯეტო დაფინანსების ნაწილში არ ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან რაიმე

ფორმით ზედამხედველობას, აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისაგან მისი გათავისუფლება, ეკლესიის დაფინანსების პროცესს საჯარო კონტროლის მიღმა ტოვებს. რელიგიური ორგანიზაციების გაუმჭვირვალობა საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ და სეკულარულ მმართველობას და შეიცავს რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიაში სახელმწიფო ჩარევის მაღალ რისკებს.

მნიშვნელობა: მოსარჩელეების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რელიგიურ ორგანიზაციებს მათი დაფინანსების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება დაეკისრებათ, რაც დემოკრატიული და გამჭვირვალე მმართველობის წინაპირობაა. საქმის განხილვის დროს, საკონსტიტუციო სასამართლოს, სავარაუდოდ, მოუწევს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ზემოხსენებული ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების არსებული de facto მოდელების შეფასება და იმის განსაზღვრა, რამდენად თავსდებიან ისინი დაფინანსების კომპენსაციურ თუ დოტაციურ მოდელებში.

მოსარჩელეების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რელიგიურ ორგანიზაციებს მათი დაფინანსების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება დაეკისრებათ, რაც დემოკრატიული და გამჭვირვალე მმართველობის წინაპირობაა.

II. სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება

1. სოფელ მოხეში მუსლიმების უკანონო დაკავებისა და არაპროპორციული საპოლიციო ძალის გამოყენების საქმე

საქმის აღწერა: აღნიშნული საქმე 2014 წლის 22 ოქტომბერს, სოფელ მოხეში (ადიგენის მუნიციპალიტეტი), პოლიციის მიერ დაგეგმილი მასშტაბური საპოლიციო ღონისძიების დროს, მუსლიმი თემის წარმომადგენლების უკანონო დაკავებისა და მათ მიმართ არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტებს მოიცავს. კერძოდ, 2014 წლის 22 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონული პოლიციის მთავარმა სამმართველომ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში, სადავო საკულტო ნაგებობის განახლების სამუშაოებთან დაკავშირებით, ფართომასშტაბიანი საპოლიციო მოქმედებები განახორციელა. ადგილობრივმა მუსლიმებმა შენობის დანგრევის წინააღმდეგ მშვიდობიანი დემონსტრაცია გამართეს, რომლის დროსაც, პოლიციამ უკანონოდ დააკავა 14 მუსლიმი (11 მათგანი - ადმინისტრაციული წესით, 3 კი - სისხლის სამართლის წესით). ზოგიერთი პირის მიმართ პოლიციამ აშკარად არაპროპორციული ძალა გამოიყენა როგორც დაკავების დროს, ისე პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის შემდეგ, როდესაც დაკავებულები პოლიციის ფაქტობრივი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. პოლიციამ დაკავებისას, ასევე, პოლიციის განყოფილებაში, სასტიკად სცემა სოფელ მოხეში ადიგენის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, თეიმურაზ მიქელაძე. როგორც მოწმეები უთითებენ, შეკრების მონაწილეების დაკავების დროს, ადგილზე მყოფი პოლიციელები იყენებდნენ სიძულვილის ენას მუსლიმების მიმართ.

დავის არსი და დასაბუთება: მოცემულ საქმეზე EMC დავობს, რომ ადგილი ჰქონდა მუსლიმი ადამიანების უკანონო დაკავებასა და მათ მიმართ არაპროპორციული ძალის გამოყენებას. გამოძიების პროცესში, EMC იცავს ყველა დაკავებული პირის ინტერესებს.

EMC-ის განცხადების შემდეგ, 2014 წლის 2 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის პროკურატურის საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება დაიწყო ძალის გადამეტების სავარაუდო ფაქტებზე, სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის საფუძველზე. გამოძიების პირველ ეტაპზე, დაიკითხა 2014 წლის 22 ოქტომბერს დაკავებული ყველა მუსლიმი პირი, რომლებმაც პოლიციელთა მხრიდან ძალის გადამეტება დაადასტურეს. EMC-ის მიერ ბორჯომის დროებითი დაკავების იზოლატორიდან მოპოვებული ინფორმაციით ასევე დასტურდება, რომ

დაკავებულ თეიმურაზ მიქელაძეს აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანებები. ორგანიზაციამ გამოძიებაში ასევე წარადგინა შპს „ჯეო ჰოსპიტალიდან“ მოპოვებული სამედიცინო ისტორია, სადაც მიქელაძე დროებითი მოთავსების იზოლატორიდან, ექიმის რეკომენდაციით გადაიყვანეს.

EMC-ის ინიციატივით, პროკურატურამ დაკითხა სხვა ნეიტრალური პირები (14-მდე მოწმე), რომლებმაც 2014 წლის 22 ოქტომბრს პოლიციის მიერ მუსლიმების თვითნებური დაკავების, ძალის გადამეტებისა და სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტები დაადასტურეს. დაკითხვების დროს, EMC მოწმეებს უწევდა საადვოკატო მომსახურებას.

მოცემული ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შემდეგ, EMC-იმ სამცხე-ჯავახეთის პროკურატურას თეიმურაზ მიქელაძისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით მიმართა. ეს მას საპროცესო კოდექსით დაზარალებულისთვის გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისა და, შედეგად, გამოძიების პროცესის ეფექტური კონტროლის შესაძლებლობას მისცემდა. პროკურატურამ მოთხოვნა, ერთჯერადი გასაჩივრების უფლების გამოყენების შემდეგაც არ დააკმაყოფილა. აღსანიშნავია, რომ დაკავებული პირებისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების თაობაზე მოთხოვნა ორგანიზაციამ 3-ჯერ, გამოძიების სხვადასხვა ეტაპზე დააყენა, თუმცა, ასევე უშედეგოდ.

დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისთვის პროკურატურა გაუმართლებლად იყენებს მტკიცების ორმაგ და გაუგებარ სტანდარტს და ითხოვს, ერთი მხრივ, ვარაუდის სტანდარტით დანაშაულის მტკიცებისა და, მეორე მხრივ, პირისთვის ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურებას. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისათვის რაიმე სტანდარტს არ ადგენს. ორმაგი (ზიანის და დანაშაულის არსებობის) სტანდარტის გამოყენება ამძიმებს მტკიცების შესაძლებლობას და დაუსაბუთებლად ურთულებს პირებს დაზარალებულის სტატუსის მიღებას და ამ გზით გამოძიების პროცესში ეფექტური მონაწილეობის შესაძლებლობას. მით უფრო, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზიანის მიყენების ფაქტი უტყუარი მტკიცებულებებით (მათ შორის, სამეციდინო დოკუმენტაციით) დგინდება, საქმეზე მიმდინარე გამოძიება კი, თავისთავად, მიუთითებს დანაშაულის ჩადენის ვარაუდს.

დღეის მდგომარეობით, დაკავებული მუსლიმებისათვის გამოძიების პროცესის პროგრესის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, მსხვერპლის სტატუსის არ არსებობა მათ გამოძიების პროცესში ჩართვის შესაძლებლობას უსპობს. მიუხედავად საქმისადმი არსებული დიდი საზოგადოებრივი ინტერესისა, პროკურატურა EMC-ისთვის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებაზე უარს აცხადებს. ამ ეტაპზე, EMC მოცემულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენ განაცხადს ამზადებს.

მნიშვნელობა: მოცემულ საქმეზე EMC დავობს, რომ მუსლიმი თემის წევრების დაკავება თვითნებურად მოხდა და მშვიდობიანი შეკრების მონაწილეების მიმართ პოლიციამ გადამეტებული ძალა გამოიყენა. ამ დროისათვის, პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტზე მიმდინარე გამოძიება ეფექტური გამოძიების სტანდარტებს არ აკმაყოფილებს. EMC მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როცა იდენტურ შემთხვევებში დომინანტი რელიგიური ჯგუფის წარმომადგებლების მიმართ, სამართლებრივი რეაგირების საშუალებების გამოყენებისგან სახელმწიფო თავს იკავებს, აბსოლუტურ პასიურობას ავლენს და ამასთან, დემონსტრაციულად რეპრესიულია მუსლიმი თემის მიმართ (როგორც ეს მოხდა ჭელას შემთხვევაშიც), მიუთითებს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკის დისკრიმინაციულ ხასიათზე.

EMC მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როცა იდენტურ შემთხვევებში დომინანტი რელიგიური ჯგუფის წარმომადგებლების მიმართ, სამართლებრივი რეაგირების საშუალებების გამოყენებისგან სახელმწიფო თავს იკავებს, აბსოლუტურ პასიურობას ავლენს და ამასთან, დემონსტრაციულად რეპრესიულია მუსლიმი თემის მიმართ (როგორც ეს მოხდა ჭელას შემთხვევაშიც), მიუთითებს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკის დისკრიმინაციულ ხასიათზე.

2. ქობულეთში, მართლმადიდებლების მიერ, მუსლიმი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პანსიონატის საქმიანობისთვის ხელის შეშლის საქმე

საქმის აღწერა: წინამდებარე საქმე ქობულეთში მუსლიმი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პანსიონატის გახსნისთვის, ისლამოფობიური მოტივით, ხელის შეშლის ფაქტებსა და სახელმწიფოს მიერ გატარებულ არაეფექტურ პოლიტიკას უკავშირდება.

2014 წლის 10 სექტემბრიდან ამ დრომდე, ქობულეთში, ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც თავს მართლმადიდებელ ქრისტიან თემს მიაკუთნებს, მუსლიმ თემს პანსიონატის გახსნის შესაძლებლობას არ აძლევს. 2014 წლის 10 სექტემბერს, მათ დაკლული ღორის თავი დაკიდეს პანსიონატის ჭიშკართან და ამ ფორმით გამოხატეს პროტესტი მუსლიმების მიმართ. 2014 წლის 15 სექტემბრიდან, დომინანტრმა რელიგიურმა ჯგუფმა დაიწყო მუდმივი აქციები პანსიონატის შესასვლელთან და სასწავლო წლის დაწყების დროს, ადგილზე მისული

მუსლიმი მოსწავლეები და პანსიონის ადმინისტრაცია მუქარისა და შეურაცხყოფის გზით აიძულა, დაეტოვებინათ შენობა. აღნიშნულის შემდეგ, ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობა პანსიონატის შენობაში შესვლის პროცესს მკაცრად აკონტროლებს და კვლავ არ აძლევს ადმინისტრაციას სკოლის გახსნის შესაძლებლობას. შსს-მ არ მოახდინა ეფექტური რეაგირება აღნიშნულ ფაქტებზე და არ აღკვეთა ადგილზე გამოვლენილი სამართალდარღვევის შემთხვევები და არ უზრუნველყო შენობის გახსნა და უსაფრთხო ფუნქციონირება.

აღნიშნულ საქმეზე EMC პროკურატურისგან ეფექტური გამოძიების ჩატარებას ითხოვს. გარდა ამისა, ორგანიზაციას დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის შესაბამისად, სარჩელი აქვს წარდგენილი სასამართლოში, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კერძო პირების წინააღმდეგ.

დავის არსი და დასაბუთება: აღნიშნულ საქმეზე, 2014 წლიდან EMC იცავს დაზარალებული პირების ინტერესებს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის წინაშე. საქმეზე გამოძიების დაწყების მიზნით, EMC-იმ დეტალურად აღწერა და ადგილობრივი ქრისტიანების მიერ მუსლიმი თემის მიმართ არასათანადო მოპყრობისა და პოლიციის წარმომადგენლების მხრიდან გულგრილობისა და არაეფექტური რეაგირების ფაქტების დოკუმენტირება მოახდინა. EMC გამოძიების წინაშე წარდგენილ არა ერთ განცხადებაში ითხოვს მუსლიმი თემის მიმართ განგრძობადი დევნისა და საქმეში პოლიციის თანამშრომლების საქმიანობის კანონიერების საკითხზე ეფექტური, სრულყოფილი და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარებას. ამასთან, პოლიციელთა მიერ სავარაუდო სამართალდარღვევის ჩადენის გათვალისწინებით, გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია მოითხოვს, საქმე გამოსაძიებლად აჭარის პროკურატურის საგამოძიებო სამსახურს გადაეცეს.

EMC-ის არაერთგზის მიმართვის მიუხედავად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორგანიზაციას აცნობა, რომ სამინისტრო მოცემულ საქმეზე გამოძიებას სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის (მუქარის) საფუძველზე აწარმოებს. გამოძიების შეფასებით, აღნიშნული საქმე, 2014 წლის 10 ოქტომბერს, დაუდგენელი პირების მიერ, პანსიონატის შენობის გადაწვის მუქარას უკავშირდება. როგორც ჩანს, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში არ განიხილება საკუთრების უფლების, გადაადგილების თავისუფლებისა და განათლების უფლების განგრძობადი დარღვევის ფაქტები, რაზეც

მიუთითებენ დაზარალებულები. შესაბამისად, გამოძიებამ არ დააკმაყოფილა EMC-ის მოთხოვნა, საქმის კვალიფიკაციის შეცვლისა და სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის (დევნა) საფუძველზე, გამოძიების გაგრძელების თაობაზე. გამოძიება ასევე უარს ამბობს პოლიციის თანამშრომლების სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტების გამოძიებაზე. ამასთან დაკავშირებით, გამოძიება უთითებს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებულ მოკვლევაზე, რომელმაც პოლიციელთა მხრიდან კანონის დარღვევის ფაქტი არ დაადასტურა. მთავარმა პროკურატურამ ასევე არ დააკმაყოფილა EMC-ის მოთხოვნა, საქმე გამოსაძიებლად გადასცემოდა პროკურატურას.

მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქმესთან დაკავშირებით რამდენიმე ათეული ადამიანი დაიკითხა, 2014 წლის 10 სექტემბრიდან მოყოლებული, განგრძობადი დევნის ფაქტებთან დაკავშირებით მუსლიმი თემის წევრების დაკითხვა მხოლოდ 9 თვის შემდეგ მოხდა. ამ დროისათვის, უფლების შეზღუდვის მსხვერპლებს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და რამდენიმე ადამიანის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი უკვე წარდგენილი ჰქონდათ. EMC-ის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, გამოძიებამ მუსლიმი თემის წევრებს სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულის სტატუსი არ მიანიჭა. გამოძიება ასევე უარს ამბობს, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარებაზე.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, EMC მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარე გამოძიება ეფექტური და დამოუკიდებელი გამოძიების სტანდარტებს არ შეესაბამება.

მნიშვნელობა: წინამდებარე საქმე, ბოლო პერიოდში, რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და განგრძობადი შემთხვევაა, რომელიც ხელისუფლებამ, არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასების მიუხედავად, ამ დრომდე არ გადაჭრა. საქმეში კარგად ჩანს ხელისუფლების დისკრიმინაციული მიდგომა, როცა ის დემონსტრაციულ უმოქმედობას ავლენს დომინანტი რელიგიური ჯგუფის მხრიდან გამოვლენილი შეუწყნარებლობისა და ძალადობის ფაქტებზე პასიურობით და გამოვლენილი სიძულვილისა და სოციალური ხასიათის ძალადობის კვლავწარმოებას ახდენს.

საქმეში კარგად ჩანს ხელისუფლების დისკრიმინაციული მიდგომა, როცა ის დემონსტრაციულ უმოქმედობას ავლენს დომინანტი რელიგიური ჯგუფის მხრიდან გამოვლენილი შეუწყნარებლობისა და ძალადობის ფაქტებზე პასიურობით და გამოვლენილი სიძულვილისა და სოციალური ხასიათის ძალადობის კვლავწარმოებას ახდენს.

III. ანტიდისკრიმინაციული მექანიზმები

1. საერთო სასამართლოები

1.1. ქობულეთში მუსლიმი მოსწავლეების პანსიონატის საქმეზე სასამართლოში მიმდინარე დავა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და დომინანტი რელიგიური ჯგუფის წარმომადგნლების წინააღმდეგ

დავის არსი და დასაბუთება: დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სპეციალური სამართალწარმოების ფარგლებში, EMC-იმ სარჩელით მიმართა ბათუმის სასამართლოს. აღნიშნული სარჩელი წარდგენილია შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამი ფიზიკური პირის წინააღმდეგ, რომლებიც მოსარჩელეთა მტკიცებით, აორგანიზებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის არამშვიდობიან შეკრებებს და რეგულარულად უშლიდნენ ხელს პანსიონატის საქმიანობას.

საქმეში, მოსარჩელე მხარე ამტკიცებს, რომ მოპასუხე კერძო პირებმა მის მიმართ განახორციელეს დისკრიმინაციული ქმედება, რომელიც რელიგიური სიძულვილითა და შეუწყნარებლობით იყო განპირობებული და მიზნად ისახავდა პანსიონატის გახსნისა და მისი ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლას. მოსარჩელეთა მტკიცებით, მოპასუხე კერძო პირებმა და მათ მიერ ორგანიზებულმა ჯგუფმა მათ საკუთრების უფლებით, გადაადგილების თავისუფლებით, რელიგიის თავისუფლებითა და განათლების უფლებით სარგებლობაში ხელი შეუშალეს. რამდენიმე თვის განმავლობაში, აღნიშნული ჯგუფის წევრები მორიგეობით აკონტროლებდნენ პანსიონატის თანამშრომლებისა და ბენეფიციარების გადაადგილებას და პრაქტიკულად ზღუდავდნენ შენობაში შესვლის შესაძლებლობას. ამ პროცესში, ისინი იყენებდნენ მუქარასა და სიძულვილის ენას და გამოხატავდნენ ისლამოფობიურ და თურქოფობიულ დამოკიდებულებებს.

მოსარჩელეები მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ამტკიცებენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო, დისკრიმინაციული მიდგომების გამო, უარს აცხადებს საკუთარი ვალდებულებების შესრულებაზე. კერძოდ, სამინისტრო გულგრილობას იჩენს მოპასუხე კერძო პირებისა და მათი ორგანიზებული ჯგუფების მიერ, რელიგიური სიძულვილის მოტივით ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტების მიმართ და არ აღკვეთს მათ. მოსარჩელეები უთითებენ, სამინისტროს არაეფექტურ რეაგირებაზე ისეთ ქმედებებთან დაკავშირებით, როგორიცაა მუსლიმური პანსიონატის წინ ღორის დაკვლისა და ღორის თავის შესასვლელ კარზე დაკიდების ფაქტები.

მოსარჩელე ასევე აღნიშნავს შინაგან საქმეთა სამინისტროს არაეფექტურ პოლიტიკას დომინანტი რელიგიური ჯგუფის მიერ, მუსლიმი თემის უფლებების დარღვევის სხვა შემთხვევებზეც (მაგ. ნიგვზიანი, წინწყარო, სამთაწყარო). ასევე ხაზს უსვამენ სამინისტროს დემონსტრაციულად რეპრესიულ პოლიტიკაზე მუსლიმების მიმართ (ჭელა, მოხე), რაც სამინისტროს დისკრიმინაციულ პოლიტიკაზე მიუთითებს.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე ითხოვს მოპასუხის დისკრიმინაციული ქმედების აღკვეთას, სამინისტროს მხრიდან პანსიონატის გახსნისა და ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფასა და მორალური ზიანის სიმბოლურ ანაზღაურებას, 1 ლარის ოდენობით.

საქმის მიმდინარეობა: ორგანიზაციამ სარჩელი სასამართლოში 2014 წლის 9 დეკემბერს გადაგზავნა. თუმცა, ბათუმის საქალაქო სასამართლომ უგულებელყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV9 მუხლი, დისკრიმინაციის საქმეებზე სპეციალური პროცედურული რეჟიმის შესახებ, რითაც დაარღვია კანონი. კანონმდებლობის შესაბამისად, სარჩელზე ხარვეზის დადგენის ნაცვლად, სასამართლომ ტექნიკური მიზეზით უარი თქვა საქმის განხილვაზე. ამ გადაწყვეტილების საპასუხოდ, EMC-იმ სასამართლოს განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც განხილვის შემდეგ, საქმე ბათუმის საქალაქო სასამართლოში დააბრუნა. ამის გამო, საქმის წარმოება გაჭიანურდა 3 თვით.

მოსარჩელის თხოვნის საფუძველზე, ბათუმის საქალაქო სასამართლომ ადგილზე დაათვალიერა და მოწმის სტატუსით დაკითხა 14-ზე მეტი პოლიციის თანამშრომელი. ასევე, მოწმის სახით დაიკითხნენ სახალხო დამცველისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თანამშრომლები. შემდეგ სხდომაზე დაგეგმილია მუსლიმი თემისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლების დაკითხვა.

მნიშვნელობა: მუსლიმების წინააღმდეგ სოციალური ძალადობის ზოგიერთი ბოლოდროინდელი შემთხვევა პოლიტიკური მოლაპარაკებებით გადაწყდა, ზოგიერთი კი - კონსერვირდა. ქობულეთის საქმის სასამართლოში წარმოება აღნიშნული პრობლემის სამართლებრივი მექანიზმებით გადაწყვეტის მცდელობაა. სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ეფექტურობის შემთხვევაში, მოცემული პრეცედენტი მუსლიმი თემის სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის პროცესს გააძლიერებს. საქმე ასევე გამოააშკარავებს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის აღსრულების ძირითად პრობლემებსა და პერსპექტივებს.

1.2. საჯარო სამსახურში მუსლიმი პირის მიმართ რელიგიური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის საქმე

საქმის აღწერა: დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე, EMC-იმ თეიმურაზ მიქელაძის სახელით ადიგენის მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ ახალციხის რაიონულ სასამართლოში სარჩელი წარადგინა. თეიმურაზ მიქელაძე სოფელ მოხეში ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლის მოვალეობას ასრულებდა. 2014 წლის 22 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ საკულტო ნაგებობის ბიბლიოთეკის სტატუსით რეკონსტრუქციის შესახებ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ორგანიზებული მშვიდობიანი აქციის დროს, პოლიციელებმა მიქელაძე სასტიკად ცემეს, როგორც დაკავების, ისე პოლიციის განყოფილებაში გადაყვანისას. აღნიშნული მოვლენების შემდეგ თეიმურაზ მიქელაძემ რამდენიმე საჯარო განცხადება გააკეთა მუსლიმი თემის უფლებების დარღვევისა და უგულებელყოფის პრაქტიკებზე, რაც მისი მტკიცებით, თანამდებობის დაკავებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა.

დავის არსი და დასაბუთება: 2015 წლის 27 მარტს, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ, მოხეს ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის პოზიციაზე, თეიმურაზ მიქელაძის კანდიდატის წარგდენაზე უარი განაცხადა. მის მაგივრად,

ქობულეთის საქმის სასამართლოში წარმოება აღნიშნული პრობლემის სამართლებრივი მექანიზმებით გადაწყვეტის მცდელობაა. სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ეფექტურობის შემთხვევაში, მოცემული პრეცედენტი მუსლიმი თემის სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის პროცესს გააძლიერებს. საქმე ასევე გამოააშკარავებს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის აღსრულების ძირითად პრობლემებსა და პერსპექტივებს.

ვაკანტურ თანამდებობაზე დაინიშნა ადგილობრივი მართლმადიდებელი პირი, რომელსაც, მოსარჩელისაგან (და სხვა მუსლიმი კანდიდატისგან) განსხვავებით, პოზიციის შესაბამისი გამოცდილება და განათლება არ ჰქონდა. კონკურსის მონაწილეთა შორის, აუცილებელ და დამატებით მოთხოვნებს მხოლოდ თეიმურაზ მიქელაძე აკმაყოფილებდა. მოსარჩელე მხარის მტკიცებით, საკონკურსო-საატესტაციო კომისასთან მის გასაუბრებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. როგორც გასაუბრების ოქმი და გადაწყვეტილებები აჩვენებს, კომისიის გადაწყვეტილება დასაბუთებული არ ყოფილა. გადაწყვეტილების ტექსტში შეუძლებელია იმ გარემოებებისა და მიზეზების დადგენა, რომელსაც კომისია მიღებისას დაეყრდნო.

როგორც სასამართლო სდომებზე დადასტურდა, გარდა ორი სოფლისა, რომელშიც მუსლიმი თემი აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არცერთი მუსლიმი არ არის დასაქმებული.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ამტკიცებს, რომ თანამდებობეაზე მისი კანდიდატურის უარყოფის მიზეზი 22 ოქტომბრის მოვლენებში მისი მონაწილეობა და მათთან კავშირში მისი საჯარო განცხადებები გახდა. მოსარჩელე მხარე უთითებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მუსლიმი თემის მიმართ ადგლობრივი ხელისუფლების დისკრიმინაციული და რეპრესიული პოლიტიკის გაგრძელებაა. უნდა აღინიშნოს, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელი მოხეს გარდა, კონკურსის შემდგომ, ვაკანტურ პოზიციებზე იგივე პირები დაინიშნენ, ვინც მანამდე ასრულებდა მოვალეობას ამ პოზიციაზე. როგორც სასამართლო სხდომებზე დადასტურდა, გარდა ორი სოფლისა, რომლებშიც მუსლიმი თემი აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არცერთი მუსლიმი არ არის დასაქმებული.

საქმის მიმდინარეობა: 2015 წლის 13 ოქტომბერს, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. სასამართლომ არ გაითვალისწინა სავარაუდო დისკრიმინაციის საქმეებზე საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვული სპეციალური წარმოების წესები. სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ ასახულა სახალხო დამცველის, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) წარმომადგებლების, ასევე კონკურსის მესამე კანდიდატის (რომელიც ასევე მუსლიმ თემს წარმოადგენდა) მიერ მიცემული ახსნა-განმარტებები, რომელიც ადიგენის მუნიციპალიტეტის მიკერძოებულ და დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს უთითებდა. EMC ამტკიცებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი

და კანონმდებლობასთან შეუსაბამოა. ორგანიზაციამ მითითებული გადაწყვეტილება უკვე გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

მნიშვნელობა: აღნიშნული საქმე წარმოაჩენს სოფელ მოხეს ადგილობრივი ხელისუფლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრიმინაციულ პოლიტიკას მუსლიმების წინააღმდეგ. თეიმურაზ მიქელაძის უფლებების დაცვა ამჟამინდელი პოლიტიკის კრიტიკისა და სიმართლის დადგენის მცდელობაა. მოსარჩელის უფლებების დაცვა მუსლიმების მიერ სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის კარგი პრეცედენტი შეიძლება გახდეს. გარდა ამისა, საქმე წარმოაჩენს საჯარო სამსახურში მუსლიმი თემის დასაქმების კუთხით არსებულ დისკრიმინაციულ პოლიტიკას.

1.3 საჯარო სამსახურში მუსლიმი პირის მიმართ რელიგიური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის საქმე

საქმის აღწერა: დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე, EMC-იმ თეიმურაზ მიქელაძის სახელით ადიგენის მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ ახალციხის რაიონულ სასამართლოში სარჩელი წარადგინა. თეიმურაზ მიქელაძე სოფელ მოხეში ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლის მოვალეობას ასრულებდა. 2014 წლის 22 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ საკულტო ნაგებობის ბიბლიოთეკის სტატუსით რეკონსტრუქციის შესახებ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ორგანიზებული მშვიდობიანი აქციის დროს, პოლიციელებმა მიქელაძე სასტიკად ცემეს, როგორც დაკავების, ისე პოლიციის განყოფილებაში გადაყვანისას. აღნიშნული მოვლენების შემდეგ თეიმურაზ მიქელაძემ რამდენიმე საჯარო განცხადება გააკეთა მუსლიმი თემის უფლებების დარღვევისა და უგულებელყოფის პრაქტიკებზე, რაც მისი მტკიცებით, თანამდებობის დაკავებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა.

დავის არსი და დასაბუთება: 2015 წლის 27 მარტს, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ, მოხეს ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის პოზიციაზე, თეიმურაზ მიქელაძის კანდიდატის წარგდენაზე უარი განაცხადა. მის მაგივრად, ვაკანტურ თანამდებობაზე დაინიშნა ადგილობრივი მართლმადიდებელი პირი, რომელსაც, მოსარჩელისაგან (და სხვა მუსლიმი კანდიდატისგან) განსხვავებით, პოზიციის შესაბამისი გამოცდილება და განათლება არ ჰქონდა. კონკურსის მონაწილეთა შორის, აუცილებელ და დამატებით

მოთხოვნებს მხოლოდ თეიმურაზ მიქელაძე აკმაყოფილებდა. მოსარჩელე მხარის მტკიცებით, საკონკურსო-საატესტაციო კომისასთან მის გასაუბრებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. როგორც გასაუბრების ოქმი და გადაწყვეტილებები აჩვენებს, კომისიის გადაწყვეტილება დასაბუთებული არ ყოფილა. გადაწყვეტილების ტექსტში შეუძლებელია იმ გარემოებებისა და მიზეზების დადგენა, რომელსაც კომისია მიღებისას დაეყრდნო.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ამტკიცებს, რომ თანამდებობეაზე მისი კანდიდატურის უარყოფის მიზეზი 22 ოქტომბრის მოვლენებში მისი მონაწილეობა და მათთან კავშირში მისი საჯარო განცხადებები გახდა. მოსარჩელე მხარე უთითებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მუსლიმი თემის მიმართ ადგლობრივი ხელისუფლების დისკრიმინაციული და რეპრესიული პოლიტიკის გაგრძელებაა. უნდა აღინიშნოს, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელი მოხეს გარდა, კონკურსის შემდგომ, ვაკანტურ პოზიციებზე იგივე პირები დაინიშნენ, ვინც მანამდე ასრულებდა მოვალეობას ამ პოზიციაზე. როგორც სასამართლო სხდომებზე დადასტურდა, გარდა ორი სოფლისა, რომლებშიც მუსლიმი თემი აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არცერთი მუსლიმი არ არის დასაქმებული.

საქმის მიმდინარეობა: 2015 წლის 13 ოქტომბერს, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. სასამართლომ არ გაითვალისწინა სავარაუდო დისკრიმინაციის საქმეებზე საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვული სპეციალური წარმოების წესები. სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ ასახულა სახალხო დამცველის, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) წარმომადგებლების, ასევე კონკურსის მესამე კანდიდატის (რომელიც ასევე მუსლიმ თემს წარმოადგენდა) მიერ მიცემული ახსნა-განმარტებები, რომელიც ადიგენის მუნიციპალიტეტის მიკერძოებულ და დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს უთითებდა. EMC ამტკიცებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და კანონმდებლობასთან შეუსაბამოა. ორგანიზაციამ მითითებული გადაწყვეტილება უკვე გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

მნიშვნელობა: აღნიშნული საქმე წარმოაჩენს სოფელ

მოხეს ადგილობრივი ხელისუფლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრიმინაციულ პოლიტიკას მუსლიმების წინააღმდეგ. თეიმურაზ მიქელაძის უფლებების დაცვა ამჟამინდელი პოლიტიკის კრიტიკისა და სიმართლის დადგენის მცდელობაა. მოსარჩელის უფლებების დაცვა მუსლიმების მიერ სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის კარგი პრეცედენტი შეიძლება გახდეს. გარდა ამისა, საქმე წარმოაჩენს საჯარო სამსახურში მუსლიმი თემის დასაქმების კუთხით არსებულ დისკრიმინაციულ პოლიტიკას.

1.4 საპატრიარქოს სკოლიდან განსხვავებული შეხედულების გამო დირექტორის გათავისუფლების საქმე

საქმის აღწერა: ეს საქმე საპატრიარქოს მიერ დაფუძნებული სკოლიდან დისკრიმინაციული მოტივით აღმასრულებელი დირექტორის გათავისუფლების ფაქტს შეეხება. მაია ლაპიაშვილის სახელით, EMC-იმ სარჩელით მიმართა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს. სარჩელი დედოფლისწყაროს ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებას ეხება. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მისი გათავისუფლების მიზეზი ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ ორგანიზებულ ტრენინგში მონაწილეობა გახდა.

დავის არსი და დასაბუთება: მოპასუხე სკოლა-ინტერნატი საქართველოს საპატრიარქოს მიერ არის დაფუძნებული და წესდების მიხედვით, მის ძირითად მიზანს ქრისტიანული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბება წარმოადგენს.

მაია ლაპიაშვილი 2014 წლის 15 მაისიდან, განუსაზღვრელი ვადით, იკავებდა სკოლა-ინტერნატის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას სასწავლო დარგში და ჯეროვნად ასრულებდა დაკისრებულ ვალდებულებებს. სკოლა-ინტერნატის ადმინისტრაციასა და მას შორის დავა მიმდინარე წლის სექტემბრიდან დაიწყო, როცა სკოლის დირექტორმა, მეუფე დიმიტრიმ (რ. კაპანაძე) მოსარჩელეს, მის მიმართ ნდობის ამოწურვის მოტივით, პირადი განცხადების საფუძველზე დაწესებულებიდან წასვლა სთხოვა. მოსარჩელისა და სხვა მოწმეების ახსნა-განმარტებით, მეუფე დიმიტრი აღნიშნავდა, რომ ლაპიაშვილის მიმართ უნდობლობა გამოიწვია ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე – "ტოლერანტობის კულტურა სკოლაში" მოსარჩელის დასწრების ფაქტმა. მოსარჩელისა

და სხვა მოწმეების განმარტებით, მეუფემ მას აუხსნა, რომ ტრენინგს ესწრებოდნენ ბაპტისტურ-ევანგელური ეკლესიის ეპისკოპოსი რუსუდან გოცირიძე და თეოლოგი ბექა მინდიაშვილი, რის გამოც მაია ლაპიაშვილი მითითებულ ტრენინგს არ უნდა დასწრებოდა, მეუფის კურთხევის გარეშე. მოსარჩელის განცხადებით, მეუფემ ბექა მინდიაშვილსა და რუსუდან გოცირიძეს „საპატრიარქოს მტრები“ უწოდა.

მაია ლაპიაშვილმა პირადი განცხადების საფუძველზე არ შეწყვიტა შრომითი ხელშეკრულება, რის შემდეგაც, 2015 წლის 8 სექტემბერს, სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, სკოლაში გააუქმდა სასწავლო დარგში აღმასრულებელი დირექტორის საშტატო ერთეული. შედეგად, მაია ლაპიაშვილი ყოველგვარი დამატებითი დასაბუთებისა და კომპენსაციის გარეშე, გაათავისუფლეს მის მიერ დაკავებული პოზიციიდან. საქმის მასალების ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო დარგში აღმასრულებელი დირექტორის საშტატო ერთეულის გაუქმება არ ემსახურებოდა სკოლისთვის აუცილებელ ორგანიზაციულ ცვლილებას და მაია ლაპიაშვილის გათავისუფლებისთვის სამართლებრივი საფუძვლის შესაქმნელად, სკოლის ადმინისტრაციის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას წარმოადგენდა.

სარჩელში EMC აღნიშნავს, რომ მაია ლაპიაშვილის გათავისუფლება “ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI)“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე დასწრების გამო, წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ, თანასწორობის პრინციპის დარღვევასა და პირის დისკრიმინაციას “სხვა შეხედულების” გამო.

სასამართლოში შეტანილი სარჩელის მოთხოვნა საშტატო ერთეულის გაუქმებისა და შრომითი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ ბრძანებების ბათილად ცნობაა. ასევე, მაია ლაპიაშვილის მიმართ დისკრიმინაციული ქმედების შედეგის აღმოფხვრა და მისი თანამდებობაზე აღდგენა. სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო და მოსამზადებელი სხდომა საქმეზე უკვე გაიმართა.

მნიშვნელობა: აღნიშნული საქმე დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის აღსრულების საინტერესო პრაქტიკას ჩამოაყალიბებს. საქმის განხილვის დროს, სასამართლოს მოუწევს „სხვა შეხედულების“ ნიშნით დისკრიმინაციის სათანადო განმარტება და ასევე, დასაქმების

სფეროში რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიურობის ფარგლებისა და ლიმიტების შეფასება.

1.5 რუსთავში სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივით კათოლიკე ეკლესიისთვის მშენებლობის ნებართვის გაცემის გაჭიანურების საქმე

საქმის აღწერა: სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციის“ სახელით, EMC-იმ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ ადმინისტრაციული სარჩელი წარადგინა. მოსარჩელე მერიის მიერ რუსთავში კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის მოწმობის გაცემაზე დაუსაბუთებელ უარს ასაჩივრებს და უთითებს, რომ უარი დისკრიმინაციული მოტივით არის განპირობებული.

დავის არსი და დასაბუთება: 2013 წლის 16 აპრილიდან, „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“ უშედეგოდ ცდილობს რუსთავში, მე-9 მიკრო-რაიონში, მის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, კათოლიკური ეკლესიის მშენებლობისთვის ნებართვისა და სანებართვო მოწმობის მოპოვებას.

ამ დრომდე, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ მხოლოდ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დაადგინა, რაც ნებართვის გაცემის I სტადიას წარმოადგენს. კათოლიკე ეკლესიამ არაერთხელ მიმართა რუსთავის მერიასა და საკრებულოს, მშენებლობის ნებართვისა და შესაბამისი მოწმობის გაცემის მოთხოვნით. თუმცა, მშენებლობის მოწმობა არ გაცემულა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ხოლო განცხადების განხილვის პროცესი, ფაქტობრივად, შეჩერდა.

აღსანიშნავია, რომ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით, არსებობს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემისას, მოქმედებს პრინციპი „დუმილი თანხმობის ნიშანია.“ აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ თუ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ნებართვის გამცემმა ორგანომ არ გასცა მშენებლობის ნებართვა ან/და დასაბუთებული უარი, მშენებლობის ნებართვა გაცემულად ითვლება და ნებართვის მაძიებელს შეუძლია მოითხოვოს მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემა. შესაბამისად, რუსთავის საკრებულოსა და მერიის მხრიდან, კათოლიკე ეკლესიის განცხადებაზე პასუხის

არ გაცემა (დუმილი) სასამართლომ საკულტო ნაგებობაზე მშენებლობის ნებართვის გაცემად მიიჩნია.

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, კათოლიკურმა ეკლესიამ კიდევ რამდენჯერმე მიმართა რუსთავის ადგილობრივ თვითმმართველობას და სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მოითხოვა მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემა. რუსთავის მერიამ კი, განცხადებები კვლავ უპასუხოდ დატოვა. ამ დრომდე, კათოლიკურ ეკლესიას არც ერთი წერილობითი პასუხი არ მიუღია წარდგენილ განცხადებებზე. რუსთავში, კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის ნებართვის გაცემის განხილვის პროცესს აქტიურად აპროტესტებდა ადგილობრივი მართლმადიდებელი მრევლის ნაწილი. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, საჯარო მოხელეების მხრიდან, დაფიქსირდა რელიგიური ნეიტრალიტეტისა დარღვევისა და დომინანტი რელიგიური ჯგუფის მიმართ ღია ლოიალობა. მაგალითად, 2014 წლის 12 დეკემბერს, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში, კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით მიმდინარე წარმოების ფარგლებში, გაიმართა ზეპირი ადმინისტრაციული სხდომა, რომელსაც ესწრებოდა მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის 50-მდე წარმომადგენელი, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები და მერიის თანამშრომლები. სხდომაზე დამსწრე პირებმა, მათ შორის, მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო პირებმა და საკრებულოს დეპუტატებმა, განაცხადეს, რომ არ დაუშვებენ რუსთავის ტერიტორიაზე კათოლიკური ეკლესიის მშენებლობას. მათ სხდომაზე წარმოდგენილი ჰქონდათ ცალკეული საინფორმაციო მასალები, სადაც კათოლიკური ეკლესიის დისკრედიტაციისკენ მიმართული განცხადებები იყო მითითებული.

მოგვიანებით, მთავრობამ კათოლიკე ეკლესიასთან დაიწყო პოლიტიკური მოლაპარაკებები. 2015 წლის ივლისში, კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს შეხვდა ქვემო ქართლის გუბერნატორი, რომელიც ეკლესიას პრობლემის მოგვარებაში დახმარებას დაპირდა. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა რუსთავის მერი, რომელმაც კათოლიკურ ეკლესიას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ალტერნატიული მიწის ნაკვეთები შესთავაზა. თუმცა შეთავაზებული მიწის ნაკვეთები განთავსებული იყო ქალაქის უკიდურეს პერიფერიაში, რის გამოც, ეკლესიამ უარი განაცხადა შეთავაზებაზე. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესებში, ასევე

აქტიურად იყო ჩართული „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოც", თუმცა უწყებამ ამ დრომდე ვერ უზრუნველყო მის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და მოდერატორის როლის ეფექტური შესრულება.

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, EMC წარდგენილ სარჩელში ითხოვს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან დისკრიმინაციული ქმედების შედეგის აღმოფხვრასა და კათოლიკური ეკლესიის მშენებლობაზე სანებართვო მოწმობის გაცემის დავალებას. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ რელიგიური უმცირესობებისთვის საკულტო ნაგებობის მშენებლობის პროცესისთვის ხელის შეშლის ფაქტებს სისტემური ხასიათი აქვს. ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, დომინანტი რელიგიური ჯგუფისგან მომდინარე წინააღმდეგობის გამო, ხშირად, უარს აცხადებენ უმცირესობაში მყოფი რელიგიური ორგანიზაციებისთვის საკულტო ნაგებობების მშენებლობის ნებართვისა და მოწმობის გაცემაზე ან სხვა ფორმებით აჭიანურებენ და ართულებენ მშენებლობის პროცესს. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ რელიგიური ნეიტრალიტეტისა და მშენებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის მოთხოვნების უხეში დარღვევა რელიგიურ ორგანიზაციებს უზღუდავს რელიგიის თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობას. იმ პირობებში კი, როდესაც სახელმწიფოს არ მოუხდენია უმცირესობაში მყოფი რელიგიური ორგანიზაციების მიმართ საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობებისა და რელიგიური ქონების რესტიტუცია, ახალი საკულტო ნაგებობის მშენებლობის გზაზე შექმნილი დაბრკოლებები კიდევ უფრო აღრმავებს ამ კუთხით არსებულ დისკრიმინაციულ პოლიტიკას. ამ ეტაპზე საქმე განხილვის პროცესშია.

მნიშვნელობა: კათოლიკე ეკლესიის მიმართ საკულტო ნაგებობების რესტიტუციისა და ახალი ეკლესიების მშენებლობის დისკრიმინაციული პოლიტიკის კონტექსტში წინამდებარე საქმეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკლესიის მხარდაჭერისთვის. აღნიშნული საქმე შექმნის მსგავსი კონფლიქტების სასამართლოს გზით, მშვიდობიანი და ადამიანის უფლებების სასარგებლოდ გადაწყვეტის პრეცედენტს. საქმის განხილვისას, სასამართლოს მოუწევს რელიგიურ-საკულტო ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობისა და მანდატის ფარგლების შეფასება.

1.6 თერჯოლაში, იეჰოვას მოწმეთა მიმართ, რელიგიის თავისუფლების დისკრიმინაციული მოტივით შეზღუდვის საქმე

2014 წლის ივნისის დასაწყისში, ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელიც თავს მართლმადიდებელ თემს მიაკუთნებს და ასევე რამდენიმე სასულიერო პირმა იეჰოვას მოწმეების მიერ თერჯოლაში სამეფო დარბაზის მშენებლობის საკითხი გააპროტესტეს. საპროტესტო აქციაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თერჯოლის მეორე საჯარო სკოლის დირექტორი და მასწავლებლებიც. 3 ივნისს, საპროტესტო აქციის მიმდინარეობის დროს, ჟურნალისტებთან საუბრისას, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებელმა განაცხადა, რომ აქციის მონაწილეებს სანერვიულო არ ჰქონდათ, რადგან ყველაფერი უმრავლესობის სასარგებლოდ გადაწყდებოდა. გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზის მშენებლობა კანონმდებლობის უხეში დარღვევით მიმდინარეობდა და შესაბამისი გეოლოგიური გამოკვლევის გარეშე, აღნიშნული ტერიტორია სეისმურად საშიშ ზონად შეაფასა. 2014 წლის 3 ივნისს, ერთ-ერთმა ადგილობრივმა მაცხოვრებელმა მუნიციპალიტეტში შეიატანა ადმინისტრაციული საჩივარი, რომელშიც მისი საცხოვრებლის უსაფრთხოებაზე სამეფო დარბაზის მშენებლობის ნეგატიურ გავლენაზე უთითებდა. აღნიშნული საჩივრის საფუძველზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ ავტომატურად შეაჩერა მის მიერ მშენებლობისთვის გაცემული ნებართვა და იეჰოვას მოწმეთა თემი იძულებული გახდა, სამშენებლო სამუშაოები შეეჩერებინა.

ადმინისტრაციული საჩივრის შეტანიდან 6 თვის გასვლის შემდეგაც, მუნიციპალიტეტმა არ მიიღო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება, რამაც მშენებლობის პროცესი გააჭიანურა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს საქმეზე შეგროვებული ჰქონდა ყველა რელევანტური მტკიცებულება, მათ შორის, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ საჩივრის ავტორის კერძო საკუთრებას საფრთხე არ ემუქრებოდა, ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილების მიღებას აყოვნებდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანულმა ორგანიზაციამ სარჩელით მიმართა სასამართლოს. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა გაიზიარეს იეჰოვას მოწმეთა არგუმენტები ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის

ვადების დარღვევისა და მშენებლობის ნაბართვის განახლების შესახებ, თუმცა არ გაიზიარეს მოსარჩელე მხარის შეფასებები დისკრიმინაციულ მოპყრობასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე საქმე საკასაციო ინსტანციაში განიხილება.
მოცემულ საქმეზე EMC ორი მიმართულებით მუშაობს:

1. მშენებლობის ნაბართვის უკანონო შეჩერებისა და ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურების პროცესში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ შესაძლო დისკრიმინაციული მოპყრობა :

სამეფო დარბაზის მშენებლობის პროცესის უკანონო შეჩერების, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადების დარღვევისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურების მცდელობის გამო, იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანულმა ორგანიზაციამ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის საფუძველზე სარჩელი წარადგინა სასამართლოში. აღნიშნულ საქმეზე EMC აქტიურად თანამშრომლობდა იეჰოვას მოწმეებთან და მათთან შეხვედრებსა და იურიდიულ კონსულტაციებს მართავდა.

ზესტაფონის რაიონულ და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში დისკრიმინაციული მოპყრობის თაობაზე მოსარჩელე მხარის არგუმენტების გაძლიერების მიზნით, EMC-იმ საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის სახით ჩართვა მოითხოვა, თუმცა, ეს მოთხოვნა არცერთმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა. აღნიშნულ პრეცედენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ სამართლებრივი ხარვეზის გამოსავლენად, რომელიც თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს დისკრიმინაციის საქმეების განხილვაში მონაწილეობის საშუალებას არ აძლევდა. აღნიშნული პრობლემის გამოვლენამ და შესაბამისი პრაქტიკით დადასტურებამ შესაძლებელი გახადა ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, რომელიც ადმინისტრაციულ დავებში არასამთავრობო ორგანიზაციებს სასამართლო მეგობრის მოსაზრების (amicus curiea) წარდგენის შესაძლებლობას აძლევს.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის მოთხოვნა საქმეში

მესამე პირის სახით ჩართვის შესახებ სასამართლომ არ დაკმაყოფილდა, EMC-იმ მოამზადა წერილობითი პოზიცია საქმეზე, რომელიც მოსარჩელეებმა საკუთარ სარჩელს მტკიცებულების სახით დაურთეს.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმეზე EMC-იმ მოახდინა თერჯოლაში გამოვლენილი რელიგიური დაპირისპირების დოკუმენტირება და შესაბამისი წერილობითი განცხადებები რეაგირებისთვის წარადგინა მთავარი პროკურორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახალხო დამცველის, სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს“, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის წინაშე. ორგანიზაცია ითხოვდა, გამოძიების მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტების შესწავლასაც.

მას შემდეგ, რაც იეჰოვას მოწმეებმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს, EMC სასამართლო მეგობრის მოსაზრების წარდგენას საკასაციო სასამართლოში გეგმავს.

2. სიძულვილით მოტივირებულ აქციაში სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ორგანიზებული მონაწილეობის საქმე:

EMC-იმ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურს საქმის გამოკვლევისა და თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლის დირექტორის, მასწავლებლების წინააღმდეგ რელიგიური სიძულვილით მოტივირებულ შეკრებებში ორგანიზებული მონაწილეობისათვის დისციპლინური სანქციების დაწესების მოთხოვნით მიმართა. თუმცა, შიდა აუდიტის სამსახურმა იმ არგუმენტით, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები არ ადასტურებდა სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენას, EMC-ის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

შიდა აუდიტის სამსახურის გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ ორგანიზაციამ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინაშე გაასაჩივრა და სამსახურის აქტის ბათილად ცნობა და საქმის წარმოების ხელახალი განხილვა მოითხოვა. თუმცა, მინისტრმა უარი განაცხადა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე იმ არგუმენტით, რომ ორგანიზაცია

რელიგიური უმცირესობებისთვის საკულტო ნაგებობის მშენებლობის პროცესისთვის ხელის შეშლის ფაქტებს სისტემური ხასიათი აქვს. ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, დომინანტი რელიგიური ჯგუფისგან მომდინარე წინააღმდეგობის გამო, ხშირად, უარს აცხადებენ უმცირესობაში მყოფი რელიგიური ორგანიზაციებისთვის საკულტო ნაგებობების მშენებლობის ნებართვისა და მოწმობის გაცემაზე ან სხვა ფორმებით აჭიანურებენ და ართულებენ მშენებლობის პროცესს.

დაინტერესებულ პირს არ წარმოადგენდა. აღნიშნულ საქმეზე სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ნათელი მაგალითია იმისა, რომ სამინისტროს არ აქვს პოლიტიკური ნება, ეფექტურად ებრძოლოს საჯარო სკოლებში ინდოქტრინაციასა და რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევის პრაქტიკებს.
განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიღებული დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების შემდეგ, EMC-იმ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის საფუძველზე სახალხო დამცველს მიმართა დასაბუთებული განცხადებით საქმეზე და საკუთარი ინიციატივით საქმის შესწავლა და სკოლისა და სამინისტროს მიმართ ზოგადი ხასიათის რეკომენდაციის გაცემა მოითხოვა. სახალხო დამცველი საქმეს ამ დრომდე სწავლობს და საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

2. სახალხო დამცველი

2.1 იმედის ფესტივალის დაგეგმვის პროცესში სახარების რწმენის ეკლესიის მიმართ სავარაუდო დისკრიმინაციის საქმე

საქმის აღწერა: დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის საფუძველზე, EMC-იმ სახალხო დამცველის წინაშე, სახარების რწმენის ეკლესიის სახელით წარადგინა განაცხადი, რომელიც „იმედის ფესტივალის“ მიმდინარეობის დროს, სპორტის სასახლისა და სარეკლამო კომპანია Outdoor-ის მიერ, სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტებს შეეხება.

დავის არსი და დასაბუთება: საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის, ბილი გრაჰამის ევანგელისტური ასოციაციისა და ქართული არაკომერციული ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული „იმედის ფესტივალი“ 2014 წლის 6-8 ივნისს უნდა გამართულიყო სპორტის სასახლეში, რომლის დირექციასთან ორგანიზატორებმა ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე, 2013 წლის 20 მაისს გააფორმეს იჯარის ხელშეკრულება და წინასწარ გადაიხადეს მომსახურების თანხა. ასევე, ორგანიზატორებმა ფესტივალის თაობაზე რეკლამის განთავსების მიზნით, სარეკლამო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება გააფორმეს სარეკლამო კომპანია Outdoor-თან.

გაფორმებული შეთანხმებების მიუხედავად, ფესტივალის ორგანიზების პროცესში, ღონისძიების ორგანიზატორები წააწყდნენ არსებითი ხასიათის ხელშეშლასა და სახელშეკრულებო ვალდებულებების დროს დისკრიმინაციულ მოპყრობას.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, კომპანია Outdoor-მა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად არ შეასრულა. მაგალითად, ჩამოხსნა სარეკლამო მასალა კახეთის გზატკეცილსა და რუსთაველის გამზირზე. ფესტივალის ორგანიზატორებისთვის კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებით, აეროპორტის გზაზე ფესტივალის სარეკლამო პროდუქტების ჩამოხსნის მიზეზი პრემიერ-მინისტრის განცხადება გახდა, რომელმაც მიუთითა, რომ არ სურდა აეროპორტისაკენ მიმავალ გზაზე „არაპატრიოტული“ პოსტერები.

სპორტის სასახლესთან გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, სასახლე 4-8 ივნისს იმედის ფესტივალს უნდა გადასცემოდა. 3 ივნისს, სასახლის დარბაზის ერთ-ერთ სეგმენტში ხანძარი გაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ხანძარი ათ წუთში ჩააქრეს და ნივთებმა მხოლოდ ზედაპირული დაზიანებები მიიღო, სპორტის სასახლის ადმინისტრაციამ მოვლენა ფორს-მაჟორად მიიჩნია და ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე უარი განაცხადა. ორგანიზატორების მრავალჯერადი მოთხოვნის მიუხედავად, სპორტის სასახლის ადმინისტრაციამ ექსპერტებს რისკების შესაფასებლად დარბაზში შესვლის უფლება არ მისცა. როგორც ექსპერტის დასკვნამ აჩვენა, ხანძარს შენობის მდგრადობაზე გავლენა არ მოუხდენია. სპორტის სასახლის ადმინისტრაციის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ორგანიზატორებმა ფესტივალის ნაცვლად მცირემასშტაბიანი ღონისძიება სახარების რწმენის ეკლესიის ეზოში გამართეს.
მნიშვნელოვანია ის კონტექსტი, რომელიც იმედის ფესტივალის ჩატარებას უძღოდა წინ. 2014 წლის 30 მაისს, საპატრიარქომ გააკეთა საგანგებო განაცხადა, რომ ის ფესტივალს ემიჯნებოდა და ის არ იყო ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი. 2014 წლის 2 ივნისს, ხანძრამდე ერთი დღით ადრე კი, ექსტრემისტული ჯგუფის ლიდერმა, გიორგი გაბედავამ განაცხადა, რომ იგი ხელს შეუშლის და გააპროტესტებს ფესტივალის ჩატარებას, ვინაიდან ღონისძიების ფარგლებში იგეგმებოდა არამართლმადიდებლური ქადაგება.

მტკიცებულებებისა და მოწმეთა ჩვენებების შემოწმების შემდეგ, EMC-იმ სახალხო დამცველს საქმის შესწავლისა და დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის თხოვნით მიმართა.

საქმის მიმდინარეობა: საქმის 9-თვიანი განხილვის შემდეგ, 2015 წლის 21 დეკემბერს, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება და ფორმალური არგუმენტით შეწყვიტა საქმის წარმოება. კერძოდ, სახალხო დამცველის შეფასებით, იმის გამო, რომ მოპასუხე ორგანიზაციებთან რელევანტური ხელშეკრულებების მხარეს არა სახარების რწმენის ეკლესიას, არამედ ბილი გრიმის ევანგელური ასოციაცია წარმოადგენდა, ეკლესია არ შეიძლებოდა განხილულიყო როგორც სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლი. EMC შესაბამის პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე მითითებით ამტკიცებდა, რომ დისკრიმინაციასთან ბრძოლის საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, დისკრიმინაციის მსხვერპლის სტატუსი ფართედ უნდა განმარტებულიყო

და იმ შემთხვევაში, თუ განსახილველი ურთიერთობა/დიფერენცირება პირდაპირ გავლენას ახდენს კონკრეტული პირის უფლებრივ მდგომარეობაზე, პირის დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლად უნდა მიიჩნოს სახალხო დამცველმა. აღნიშნულის არგუმენტების მიუხედავად, სახალხო დამცველმა არ გაიზიარა განმცხადებლის არგუმენტები და ვიწროდ და ფორმალისტურად განმარტა დისკრიმინაციის მსხვერპლის სტატუსი. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე სახალხო დამცველმა გადაწყვეტილება 9 თვის შემდეგ მიიღო, მას დეტალურად არ შეუმოწმებია დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები. ამ მხრივ, მოცემულ საქმეში გამოვლინდა კერძო პირების მიერ სახალხო დამცველისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების არ არსებობის პრობლემა, რის გამოც, სახალხო დამცველს ფაქტების სრულყოფილად შესწავლის შესაძლებლობაც არ მიეცა. მოცემულ საქმეზე EMC გეგმავს გადაწყვეტილების რევიზიის მოთხოვნით სახალხო დამცველის განმეორებით მიმართოს.

მნიშვნელობა: აღნიშნული საქმე დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლის სტატუსის ფორმალისტური და ვიწრო განმარტების ცუდი პრეცედენტი გახდა. ამასთან, საქმე საინტერესოა კერძო პირების მიმართ მოქმედი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების არაეფექტურობის საჩვენებლად. ამ მიმართებით, საქმის განხილვის ფაქტობრივი კონსერვაცია (განცხადების მიმართვიდან თითქმის ერთი წელი გავიდა) თავისთავად უკვე უთითებს სახალხო დამცველის კომპეტენციის სისუსტეზე კერძო პირების მიმართ დისკრიმინაციის საქმის განხილვის პროცესში.

აღნიშნული საქმე დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლის სტატუსის ფორმალისტური და ვიწრო განმარტების ცუდი პრეცედენტი გახდა. ამასთან, საქმე საინტერესოა კერძო პირების მიმართ მოქმედი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების არაეფექტურობის საჩვენებლად. ამ მიმართებით, საქმის განხილვის ფაქტობრივი კონსერვაცია (განცხადების მიმართვიდან თითქმის ერთი წელი გავიდა) თავისთავად უკვე უთითებს სახალხო დამცველის კომპეტენციის სისუსტეზე კერძო პირების მიმართ დისკრიმინაციის საქმის განხილვის პროცესში.

2.2. სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ

საქმის აღწერა: განსახილველ საქმეში, EMC იცავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერესებს, სახალხო დამცველის წინაშე.

2014 წლის 24 დეკემბერს, სტუდენტების საინიციატივო ჯგუფმა კოლექტიური განცხადებით მიმართა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს და მოითხოვა ჯვართამაღლების ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ თეოდორე გიგნაძის საჯარო ლექციების კურსის ჩასატარებლად ადმინისტრაციული რესურსის გამოყოფა. განცხადებაში მითითებული იყო, რომ მათთვის ინტერესის საგანს წარმოადგენდა მართლმადიდებლურ რწმენასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა. მათი განცხადებით, წლების

განმავლობაში, დეკანოზ თეოდორე გიგნაძეს იწვევენ სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში თეოლოგიის საკითხებზე ღია ლექციების ჩასატარებლად, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს და ასეულობით ახალგაზრდა ესწრება. განცხადების ავტორი სტუდენტების ჯგუფი ითხოვდა უნივერსიტეტში, თვეში ერთხელ, სააქტო დარბაზის გამოყოფას, სადაც შესაძლებელი იქნებოდა დეკანოზ თეოდორესთან შეხვედრების ორგანიზება. მათი თქმით, აღნიშნული შეხვედრები არ გულისხმობდა რელიგიური რიტუალის ან კულტის მსახურებასთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელებას. აღნიშნულ განცხადებას 4 500-მდე სტუდენტის ხელმოწერა ახლდა თან.

განცხადების პასუხად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ დაინტერესებული პირები მოიწვია შეხვედრაზე, სადაც დეკანოზი თეოდორე გიგნაძისთვის უნივერსიტეტში საჯარო ლექციების ციკლის ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება გააცნო და თეოლოგიის საკითხებზე მათი ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით, შესთავაზა საჯარო ღია ლექციების ციკლი თეოლოგიაში, სხვადასხვა თეოლოგიურ ტრადიციაში საუკეთესო ლექტორების მოწვევა, სამომავლო პერსპექტივაში თეოლოგიის, ან რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის აღდგენა.

უნივერსიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საუნივერსიტეტო სივრცეში დეკანოზი თეოდორე გიგნაძისთვის საჯარო ლექციების ციკლის წაკითხვაზე უარის თქმის შესახებ, ეფუძნებოდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 ნოემბრის #107 სხდომის ოქმით დამტკიცებულ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გარეშე პირთა მოწვევისა და ღონისძიების გამართვის წესს. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიებები უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე პირობას, inter alia, ის უნდა ემსახურებოდეს სასწავლო და კვლევით მიზნებს, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლების პრიციპებს. უნივერსიტეტში დაუშვებელია რელიგიური ინდოქტრინაცია და პროზელიტიზმი. ასევე, აკრძალულია ისეთი ღონისძიების ჩატარება, რომელიც დისკრიმინაციულია და ლახავს რომელიმე პირისა ან ჯგუფის უფლებებს, განურჩევლად მისი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და მსოფლმხედველობითი კუთვნილებისა.

დავის არსი და დასაბუთება: წინამდებარე საქმეზე EMC-იმ უკვე წარადგინა 2 წერილობითი პოზიცია (შეპასუხება) საჩივართან დაკავშირებით. მოპასუხე მხარე ამტკიცებს, რომ მოცემულ შემთხვევაში დისკრიმინაციის თაობაზე მტკიცება აშკარად დაუსაბუთებელია, რადგან საჩივრის ავტორები ვერ უთითებენ დისკრიმინაციული ნიშნის საფუძველზე

მოპასუხე მხარე ამტკიცებს, რომ მოცემულ შემთხვევაში დისკრიმინაციის თაობაზე მტკიცება აშკარად დაუსაბუთებელია (manifestly ill-founded), რადგან საჩივრის ავტორები ვერ უთითებენ დისკრიმინაციული ნიშნის საფუძველზე არსებითად თანასწორი პირების მიმართ გაუმართლებელ დიფერენცირებულ მოპყრობას.

არსებითად თანასწორი პირების მიმართ გაუმართლებელ დიფერენცირებულ მოპყრობას. განმცხადებელი ვერ აჩვენებს, რომ 2014 წლის 28 ნოემბრის წესის ამოქმედების შემდეგ, უნივერსიტეტის მხრიდან ადგილი ჰქონდა აკადემიური ხარისხის არმქონე სხვა დენომინაციის წარმომადგენლის მიერ საჯარო ლექციის ჩატარების ან ქადაგების ფაქტს. ამასთან, უნივერსიტეტის მიერ არ იზღუდება თეისტური სწავლებები უნივერსიტეტში, რასაც უნივერსიტეტის მიერ სტუდენტებითვის შეთავაზებული ლექციების შინაარსი ადასტურებს. ასევე, უნივერსიტეტში ლექციების კითხულობენ სხვა ქრისტიანი, მათ შორის, მართლმადიდებელი ქრისტიანი სასულიერო პირები. ამ პირობებში მოპასუხე მიიჩნევს, რომ განაცხადის განხილვა სცილდება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის საფუძველზე სახალხო დამცველისთვის განსაზღვრულ კომპეტენციებს. მოპასუხის შეფასებით, დეკანოზ თეოდორე გიგნაძისთვის უნივერსიტეტის სივრცეში საჯარო ლექციების შეზღუდვა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2014 წლის 28 ნოემბერს დამტკიცებული წესის საფუძველზე მოხდა (prescribed by law). აღნიშნული რეგულაცია აკმაყოფილებს ხელმისაწვდომობისა და განჭვრეტადობის მოთხოვნებს. უშუალოდ უნივერსიტეტმა კი, განმცხადებლებს გააცნო და დაუსაბუთა მოქმედი შეზღუდვებისა და დეკანოზი თეოდორე გიგნაძის საქმეში მათი გამოყენების საფუძვლები. მეტიც, უნივერსიტეტმა სისტემური ღონისძიებების გატარებით უპასუხა სტუდენტების ინტერესს რელიგიის სწავლის მიმართ. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ დეკანოზ თეოდორე გიგნაძეს არ გააჩნია აკადემიური ხარისხი, რის გამოც, ის არ აკმაყოფილებს 2014 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების ფორმალურ მოთხოვნებსაც კი. ამასთან, მისი ქადაგებები სიძულვილის ენის შინაარსსა და კონოტაციებს ატარებს, რასაც მისი არა ერთი მოხსენების დისკურს-ანალიზი აჩვენებს, რაც, შეპასუხებაში დეტალურად იყო წარდგენილი და გაანალიზებული.

უნივერსიტეტში სიძულვილის ენის რეგულირება და სეკულარული, თავისუფალი აკადემიური საგანმანათლებლო სივრცის შექმნა ლეგიტიმური ინტერესია, რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებების, თანასწორობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციებს.

უნივერსიტეტში სიძულვილის ენის რეგულირება და სეკულარული, თავისუფალი აკადემიური საგანმანათლებლო სივრცის შექმნა ლეგიტიმური ინტერესია, რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებების, თანასწორობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციებს. უნივერსიტეტი მის მიერ დადგენილი წესებისა და აკადემიური სტანდარტების შესაბამისად, უნივერსიტეტში უშვებს და მხარს უჭერს თეოლოგიურ, მათ შორის, ქრისტიანული თეოლოგიის სწავლებასა და საჯარო მოხსენებების ჩატარებას.

პროგრესი: ამ ეტაპზე, EMC-იმ უკვე წარადგინა 2 შეპასუხება საქმეზე. ასევე, საქმეზე გაიმართა ზეპირი განხილვის სხდომა. სახალხო დამცველი მითითებულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას 2016 წლის თებერვლისთვის გეგმავს.

მნიშვნელობა: აღნიშნულ საქმეს განსაკუთრებული მნიშნელობა აქვს უნივერსიტეტის ავტონომიისა და აკადემიურ სივრცეებში სიძულვილის ენისა და რელიგიური ინდოქტრინაციისან თავისუფალი გარემოს დაცვის მიზნით.

2.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ პანკისში დაბადებული პირების სავარაუდო დისკრიმინაციის საქმე

პანკისის ხეობაში მცხოვრები პირების სახელით, EMC-იმ მიმართა საქართველოს სახალხო დამცველსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიერ განხორციელებული, სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლო იხილავს აიუფ ბორჩაშვილის, გიორგი ხ.-ის, გიორგი კ.-ისა და დავით ფ.-ის სისხლის სამართლის საქმეს. მათ ბრალად ედებათ სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 327 1 (ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრებისათვის ან ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის გადაბირება) და 328 (უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება ან ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.

აღნიშნულ საქმეზე პირველი სასამართლო სხდომა ღია წესით ჩატარდა, თუმცა, მომდევნო სხდომებზე მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება პროცესის ნაწილობრივი დახურვის შესახებ. 2015 წლის 24 ნოემბერს, მოსამართლემ ნაწილობრივ დახურა სასამართლო სხდომა და მხოლოდ პანკისის ხეობის ტერიტორიაზე დაბადებულ პირებს დაატოვებინა სხდომა. მიღებული გადაწყვეტილება სასამართლომ დააფუძნა პროკურატურის შუამდგომლობაში წარმოდგენილ არგუმენტს, რომ მიმდინარე პროცესზე იკითხებოდნენ პანკისში მცხოვრები მოწმეები, რომელთაც აიუფ ბორჩაშვილის წინააღმდეგ უნდა მიეცათ ჩვენება და ხეობაში ბრალდებულის ავტორიტეტის

გათვალისწინებით, პროცესის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრის პირადი უსაფრთოხების დაცვის მიზნით, აუცილებელი იყო პროცესის დახურვა. მოსამართლემ შეამოწმა დამსწრეთა პირადობის მოწმობები და სხდომის დატოვება მოსთხოვა მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთა მოწმობაშიც დაბადების ადგილად მითითებული იყო პანკისის ხეობის ტერიტორია.

EMC-ის მტკიცებით, მოსამართლემ სხდომის ნაწილობრივი დახურვის წესი უკანონოდ გამოიყენა და წინასწარ ჩამოყალიბებული, დისკრიმინაციული სტერეოტიპების გამოყენებით, დაბადების ადგილის (რაც არსებითად მათი ეთნიკური წარმოშობისა და რელიგიური იდენტობის სპეციფიკას უკავშირდება) მიხედვით, ბლანკეტურად შეზღუდა პანკისში დაბადებული პირებისთვის სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება. გადაწყვეტილების მიღების დროს, მოსამართლემ არ შეაფასა პროცესის მონაწილე პირების მიმართ მოსალოდნელი კონკრეტული საფრთხეები და არ შეამოწმა შესაძლო რისკების დასაბუთებულობა და გონივრულობა. სასამართლომ პროცესის მონაწილეების უსაფრთხოებისთვის რისკ-ფაქტორად პანკისის ხეობის მოსახლეობა მთლიანობაში, აბსტრაქტულად განიხილა და ამგვარი გენერალიზებით, უფლებით სარგებლობის პროცესში, პანკისში დაბადებული პირების დისკრიმინირება მოახდინა. მოსამართლის აღნიშნული გადაწყვეტილება არის პანკისის ხეობაში მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობის მიმართ არსებული, დისკრიმინაციული პოლიტიკისა და ისლამოფობიური წარმოდგენების გაგრძელება და ხელს უწყობს პანკისში მცხოვრები მუსლიმების მარგინალიზებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში EMC ითხოვს:

- საქართველო სახალხო დამცველმა შეისწავლოს მოსამართლის მიერ განხორციელებული სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტი და გასცეს შესაბამისი რეკომენდაცია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მოთხოვნების დარღვევის გამო;

- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეისწავლოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის მიერ, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ფაქტი და დააკისროს მას ადეკვატური სახდელი.

პროგრესი: მოცემულ საქმეზე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ამ დრომდე არ მოუხდენია რაიმე რეაგირება. სახალხო დამცველმა კი, 2015 წლის 17 დეკემბერს უარი განაცხადა განაცხადის წარმოებაში მიღებაზე იმ არგუმენტით, რომ სახალხო დამცველი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ დისკრიმინაციული ქმედების ჩადენა. დასაბუთებაში სახალხო დამცველმა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მე-3 მუხლი მიუთითა, რომლის თანახმად, კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებაზე ყველა სფეროში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით. EMC მიიჩნევს, რომ სახალხო დამცველის დასაბუთება ზედაპირულია და კანონის აღნიშნულ მუხლზე მითითება არ იყო რელევანტური, რადგან უმაღლესი იუსტიციის საბჭოს მიერ საქმის განხილვა არ შეიძლება იქნას განხილული როგორც ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის ეკვივალენტური ინსტრუმენტი, რადგან ორივე დავას დამოუკიდებელი სამართლაბრივი საფუძვლები, მოთხოვნები და უფლების აღდგენის ინსტრუმენტები გააჩნია. სახალხო დამცველის მიერ ანტიდისრიმინაციული კანონის საფუძველზე მოსამართლეთა მხრიდან დისკრიმინაციის შემოწმების იურისდიქცია სერიოზულ დამუშავებას საჭიროებს და სახალხო დამცველის მიერ, ფორმალური არგუმენტით აღნიშნულ საქმეზე წარმოების შეწყვეტა არაპროგრესულ და გაუაზრებელ პრეცედენტს ქმნის.

სახალხო დამცველის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის საფუძველზე მოსამართლეთა მხრიდან დისკრიმინაციის შემოწმების იურისდიქცია სერიოზულ დამუშავებას საჭიროებს და სახალხო დამცველის მიერ, ფორმალური არგუმენტით აღნიშნულ საქმეზე წარმოების შეწყვეტა არაპროგრესულ და გაუაზრებელ პრეცედენტს ქმნის.

IV. სტრატეგიული სამართალწარმოება ინფორმაციის თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით გამჭვირვალე და დემოკრატიული მმართველობის საკითხებზე

1. სასამართლო სარჩელი საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტიდან ინფორმაციის გამოთხოვის საქმეზე

საქმის აღწერა: წინამდებარე საქმე საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული უნივერსიტეტის სახელმწიფო დაფინანსების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების საკითხს ეხება.

დავის არსი და დასაბუთება: 2015 წლის ოქტომბერში, EMC-იმ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წინააღმდეგ, საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების თხოვნით, სარჩელით მიმართა.

ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი" საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაფუძნებული, კერძო სამართლის სუბიექტია, რომელსაც 2014-2015 წლების სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სასულიერო განათლების გრანტის ხელშეწყობის ფარგლებში, გადაეცა 4 000 100 ლარის საბიუჯეტო სახსრები. მითითებული თანხის გარდა, უნივერსიტეტს, 2015 წელს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, სწავლებისა და კვლევითი ხარისხის დაფინანსების მიზნით, გადაეცა 1 მილიონი ლარი.

EMC დაინტერესდა თუ რა ღონისძიებებში დახარჯა უნივერსიტეტმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაცემული სახსრები. შესაბამისად, EMC-იმ, 2015 წლის 8 სექტემბერს, საჯარო ინფორმაციის გაცემის თხოვნით მიმართა უნივერსიტეტს და მოითხოვა შემდეგი ინფორმაციის გაცემა:

1. რა პროგრამები, ღონისძიებები განხორციელდა უნივერსიტეტის მხრიდან 2014 და 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით. შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა, გამოყოფილი თანხების გახარჯვისა და მათი მიზნობრიობის შესახებ, 2014 და 2015 წლებისთვის ინდივიდუალურად;

2. 2014 წლის 1 იანვრიდან დღემდე, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელდა თუ არა უნივერსიტეტისთვის დამატებითი საბიუჯეტო თანხების გამოყოფა. დადებითი პასუხის შემთხვევაში, თანხის გადაცემის შესახებ შესაბამისი აქტების ასლი და ინფორმაცია მითითებული თანხის გახარჯვისა და მათი მიზნობრიობის შესახებ;
3. ინფორმაცია უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე რელიგიურ გაერთიანებებს ათავისუფლებს საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან. მაგრამ, მითითებულ შემთხვევაში აღნიშნული რეგულაცია არ ვრცელდება სხვა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის მქონე რელიგიურ ორგანიზაციებზე ან სსიპ რელიგიური ორგანიზაციების მიერ დაფუძნებულ სუბიექტებზე. შესაბამისად, თუ ისინი წარმოადგენენ საჯარო დაწესებულებას, სხვა ორგანოების მსგავსად, მათ ეკისრებათ ვალდებულება, გასცენ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

მითითებულ შემთხვევაში, რამდენადაც უნივერსიტეტი ფინანსდება სახელმწიფოს ბიუჯეტის სახსრებიდან, იგი წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას და შესაბამისად, ვინაიდან EMC-ის განცხადება მითითებული დაფინანსების ხარჯვას ეხებოდა, მას ჰქონდა ვალდებულება, კანონით დადგენილ ვადაში გაეცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. მიუხედავად მითითებული ვალდებულებისა, უნივერსიტეტს არ გაუცია საჯარო ინფორმაცია ან დასაბუთებული უარი ინფორმაციის გაცემაზე.

EMC მიიჩნევს, რომ აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობა. მითითებულის უზრუნველსაყოფად, ნებისმიერ ორგანოს, დაფუძნებულია თუ არა იგი სახელმწიფოს მიერ, თანაბარი ვალდებულება ეკისრება უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საზოგადოების მაღალი ინტერესი არსებობს რელიგიური ორგანიზაციების მიერ დაფუძნებული სუბიექტების საბიუჯეტო სახსრებიდან

დაფინანსებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, EMC ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისგან" გამოთხოვილი, საჯარო ინფორმაციის მიღებას თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილი სარჩელით შეეცდება.

მნიშვნელობა: EMC აუცილებლად მიიჩნევს, სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების განკარგვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, რომ ნებისმიერ ორგანოს, რომელიც იღებს ფინანსურ დახმარებას სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო სახსრებიდან, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი სახელმწიფოს მიერ დაარსებული, ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება დაეკისროს. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციების მიერ დაარსებული ერთეულების დაფინანსების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი მაღალია.

2. მოხეს საკულტო ნაგებობის საქმეზე EMC რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სასამართლოში ედავება

საქმის აღწერა: "ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC)" 2015 წლის ოქტომბერში, თბილისის საქალაქო სასამართლოში საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით, სსიპ "რელიგიის საკითხთა სახელმწიფოს სააგენტოს" წინააღმდეგ სარჩელი წარადგინა. სარჩელი შეეხება სააგენტოს ინიციატივით დაფუძნებული კომისიის საქმიანობას, რომელიც შეისწავლის ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მდებარე, თვითმმართველობის საკუთრებაში კლუბის სტატუსით რეგისტრირებული, სადავო საკულტო ნაგებობასთან დაკავშირებულ გარემოებებს.

მუსლიმი თემის შეფასებით, აღნიშნული შენობის კონფისკაცია საბჭოთა პერიოდში მოხდა. მანამდე, ეს შენობა იყო მეჩეთი, რასაც ადასტურებს სხვადასხვა გარემოება, მათ შორის, შენობის ადგილმდებარეობა, მინარეთის ასასვლელი, ორნამენტები და ეზოში არსებული საფლავის ქვები. შესაბამისად, მუსლიმი თემი შენობის დაბრუნებას წლების განმავლობაში ცდილობდა.

EMC აუცილებლად მიიჩნევს, სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების განკარგვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, რომ ნებისმიერ ორგანოს, რომელიც იღებს ფინანსურ დახმარებას სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო სახსრებიდან, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი სახელმწიფოს მიერ დაარსებული, ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება დაეკისროს.

შენობა-ნაგებობა ადგილობრივ მოსახლეობასა და თვითმმართველობას შორის დაპირისპირების საგანი მას შემდეგ გახდა, რაც 2014 წლის ოქტომბერში, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე, სადავო ნაგებობის ბიბლიოთეკის სტატუსით რეაბილიტაციისთვის ტენდერი გამოცხადდა. შენობის ბიბლიოთეკის სტატუსით რეაბილიტაციას ადგილობრივი მუსლიმი თემის მშვიდობიანი პროტესტი მოჰყვა. გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების მიზნით, 2014 წლის 22 ოქტომბერს, შსს-მ მასშტაბური საპოლიციო ოპერაცია დაგეგმა, რომლის დროსაც, პოლიციამ 14 მუსლიმი პირი თვითნებურად დააკავა და ზოგიერთი მათგანის მიმართ არაპროპორციული ძალა გამოიყენა.

აღსანიშნავია, რომ შენობის შესახებ საჯარო განხილვის დაწყების შემდეგ, საპატრიარქომ განაცხადა, რომ შენობა ქრისტიანული ეკლესიის სახით ფუნქციონირებდა და მეჩეთის მშენებლობა დაიწყო, თუმცა არ დასრულებულა. ადგილობრივი მართლმადიდებელი თემის განცხადებით, მეჩეთი ქრისტიანული ეკლესიის ქვეშ აშენდა და მისი მეჩეთის სახით აღდგენა მიუღებელია.

შენობა-ნაგებობასთან დაკავშირებული გარემოებების და სადავო საკითხების შესწავლის მიზნით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივით, 2014 წლის 27 დეკემბერს, შეიქმნა "ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მდებარე, კლუბის სტატუსით რიცხულ შენობასთან დაკავშირებით, არსებული გარემოებების შემსწავლელი კომისია". კომისია 12 წევრისგან შეგდება: ადმინისტრაციული ორგანოების (სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო; ადიგენის მუნიციპალიტეტის გუბერნატორი; სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო სააგენტო; სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი), 5 წარმომადგენელი, ასევე მუსლიმი თემის ოთხი და საქართველოს საპატრიარქოს სამი წარმომადგენელი. მიუხედავად იმისა, რომ კომისია თითქმის ერთი წელია ფუნქციონირებს, კომისიის საქმიანობის შედეგი დღემდე არ დადებულა. ასევე, მთლიანად დახურულია კომისიის საქმიანობა დაინტერესებული პირებისთვის, მათ შორის საქართველოს სახალხო დამცველისთვის.

კომისიის საქმიანობა დახურული აღმოჩნდა EMC-ისთვისაც. კერძოდ, ორგანიზაციამ 2015 წლის 17 აგვისტოს, სააგენტოს მიმართა განცხადებით და გამოითხოვა

კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია. მათ შორის, ინფორმაცია კომისიის ამ დრომდე გამართული სხდომებისა და კომისიის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის შესახებ, ინფორმაცია ამ პროცესში სააგენტოს მონაწილეობის, კომისიის ფარგლებში მიწვეული ექსპერტების/სპეციალისტებისა და მათი საქმიანობის შესახებ, აღნიშნული ექსპერტების/ სპეციალისტების მიერ სადავო შენობა-ნაგებობის თაობაზე მომზადებული კვლევების, რეკომენდაციებისა და სხვა დოკუმენტების ასლები. ასევე, EMC დაინტერესდა, რა ეტაპზეა კომისიის საქმიანობა ამჟამად და როდის იგეგმება საბოლოო, შემაჯამებელი რეკომენდაციის გაცემა.

1. კომისიის რამდენი სხდომა გაიმართა 2014 წლის 27 დეკემბრიდან დღემდე. არსებობის შემთხვევაში, მითითებული სხდომების დღის წესრიგისა და სხდომის ოქმის ასლები;
2. კომისიის სამუშაო პროცესის ფარგლებში განიხილებოდა თუ არა სადავო შენობა-ნაგებობის ისტორიული მესაკუთრისთვის დაბრუნების საკითხი;
3. სოფელ მოხეში მდებარე, სადავო შენობის ისტორიულ-კონფესიური წარმომავლობის შესწავლის მიზნით, კომისიის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიისა და ამ პროცესში სააგენტოს მონაწილეობის შესახებ. არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი;
4. 2014 წლის 27 დეკემბრიდან დღემდე, კომისიის მიერ ჩატარებულ სხდომებზე რამდენჯერ განხორციელდა ექსპერტის, სპეციალისტის მოწვევა. მოწვეული სპეციალისტების/ ექსპერტების სახელი, გვარი, კვალიფიკაცია და კომისიის მიერ მათთვის მიცემული დავალებები. არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ექსპერტების/სპეციალისტების მიერ სადავო შენობა-ნაგებობის თაობაზე მომზადებული კვლევების, რეკომენდაციებისა და სხვა დოკუმენტების ასლები.
5. სააგენტოს ინიციატივით/დავალებით ხომ არ მომზადებულა რაიმე სახის კვლევა, რეკომენდაცია, დასკვნა ან სხვა სახის დოკუმენტი, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მდებარე სადავო შენობის ისტორიულ-კონფესიური წარმომავლობისა ან/და კულტურული ფასეულობის თაობაზე. დადებითი პასუხის შემთხვევაში, აღნიშნული დოკუმენტების ასლები.
6. 2014 წლის 27 დეკემბრიდან დღემდე, რა სახის

გადაწყვეტილებები, დოკუმენტები და ა.შ შეიმუშავა თავად კომისიამ შენობის ისტორიულ-კონფესიური წარმომავლობისა ან/და კულტურული ფასეულობის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილებების, რეკომენდაციების და ა.შ ასლები.

7. 7. გამოიყო თუ არა სააგენტოს ბიუჯეტიდან ან/და სხვა ადმინისტრაციული ორგანოს საბიუჯეტო სახსრებიდან, კომისიის საქმიანობის უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხების (სპეციალისტების, ექსპერტების მოწვევის, ადმინისტრაციული და სხვა სახის ხარჯები). დადებითი პასუხის შემთხვევაში, ინფორმაცია გამოყოფილი თანხის ოდენობის თაობაზე, ასევე, საბიუჯეტო სახსრების გამოყოფის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების ასლი.
8. ამჟამად, რა ეტაპზეა კომისიის საქმიანობა და როდის იგეგმება საბოლოო, შემაჯამებელი რეკომენდაციის გაცემა.
9. კომისიის საქმიანობის ფარგლებში, ქრისტიან და მუსლიმ თემთან სააგენტოს წარმომადგენლების შეხვედრების თარიღები, დღის წესრიგები და შესაბამისი შეხვედრების ოქმები. მსგავსი მოთხოვნით წერილები გაეგზავნათ კომისიის მონაწილე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებსაც.

სააგენტომ უარი განაცხადა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე არგუმენტით, რომ კომისია არ წარმოადგენდა საჯარო დაწესებულებას და შესაბამისად, კომისია არ იყო ვალდებული გაეცა საჯარო ინფორმაცია. ამ პასუხით, კომისიამ არასწორად შეაფასა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია. კერძოდ კი, EMC-ის წერილებით მოთხოვნილი იყო არა კომისიის მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემა, არამედ სააგენტოს მიერ, მისი სამსახურეობრივი უფლებამოსილების ფარგლებში, კომისიასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მხრიდან, კომისიის საქმიანობის მსგავსი დახურულობა ხელს უშლის მითითებულ საკითხზე საზოგადოებრივი დისკუსიის წამოწყებას და წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესის არადემოკრატიულ და გაუმჭვირვალე პროცედურას.

აქედან გამომდინარე, სადავო საკულტო ნაგებობასთან დაკავშირებით, სააგენტოს საქმიანობის ღიაობის უზრუნველყოფას, EMC სააგენტოს წინააღმდეგ შეტანილ სარჩელზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შეეცდება.

მნიშვნელობა: მოცემული საქმე დაადგენს მნიშვნელოვან სტანდარტს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კომისიების საქმიანობის შესახებ, რომლებსაც დე-ფაქტო ძალაუფლება აქვთ, თუმცა, ფორმალური სტატუსის გამო, საზოგადოებრივ კონტროლს არ ექვემდებარებიან. მსგავსი კომისიებისათვის საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულების დაკისრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მონიტორინგისათვის, ვინაიდან აღნიშნული სააგენტო დახურულია და ხშირად იყენებს პარა-სამართლებრივ ინსტრუმენტებს. თავის მხრივ, კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება EMC-ისა და ფართო საზოგადოებას მისი არაეფექტურობის ადეკვატური შეფასების საშუალებას მისცემს.

მსგავსი კომისიებისათვის საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულების დაკისრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მონიტორინგისათვის, ვინაიდან აღნიშნული სააგენტო დახურულია და ხშირად იყენებს პარა-სამართლებრივ ინსტრუმენტებს. თავის მხრივ, კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება EMC-ისა და ფართო საზოგადოებას მისი არაეფექტურობის ადეკვატური შეფასების საშუალებას მისცემს.

EMC-ის მიერ, სხვადასხვა საჯარო უწყებაში რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევისა და სიძულვილის ენის აკრძალვის მოთხოვნის თაობაზე წარდგენილი იყო 6 საჩივარი, კერძოდ:

1. ორგანიზაციამ განათლების სამინისტროში გაასაჩივრა თერჯოლის #2 სკოლის დირექტორისა და მასწავლებლების მონაწილეობა, იეჰოვას მოწმეთა წინააღმდეგ, სიძულვილით მოტივირებულ შეკრებაში და მათ მიმართ შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების მიუხედავად, სამინისტრომ არ დაადგინა ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნების დარღვევა განსახილველ საქმეში. ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ, აღნიშნულ საქმეზე, EMC-იმ განაცხადი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის საფუძველზე სახალხო დამცველში გააგზავნა და მას საკუთარი ინიციატივით საქმის განხილვის დაწყება სთხოვა. EMC-ის შეფასებით, მსგავსი შემთხვევები ხელს უწყობს საჯარო სკოლებში არაშემწყნარებლურ და არასეკულალურ გარემოს, რაც, თავის მხრივ, დისკრიმინაციის, მოსწავლეთა ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის შემთხვევებს წარმოშობს. ამის გამო არსებითად მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველმა წინამდებარე საქმეზე სათანადო რეაგირება მოახდინოს და სამინისტროსა და ქ. თერჯოლის #2 სკოლის მიმართ რელევანტური ზოგადი რეკომენდაციები გასცეს. სახალხო დამცველი ამ დრომდე იხილავს განაცხადს;

2. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პრობაციის დეპარტამენტის სოციალური სამმართველოს უფროსის მიერ, რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევის საქმე: თურქი მოქალაქის ნათლობის ცერემონიისას, დეპარტამენტის დირექტორმა განაცხადა: „ერთ-ერთი მსჯავრდებული, რომელიც თურქეთის მოქალაქეა, თუმცა ერთ-ერთი ჩვენგანია და ისტორიულად ქართველია, დღეს საკუთარ წარმომავლობას, საკუთარ ფესვებს, საკუთარ ჯიშსა და გენს დაუბრუნდა და მართლმადიდებელ ქრისტიანად მოინათლა“. ნათლობის რიტუალი და სამმართველოს უფროსის განცხადება პრობაციის სამინისტროს ვებგვერდზე აიტვირთა. ვიდეოში ოფიციალური პირი აცხადებს, რომ მსჯავრდებულების მონათვლით, სამმართველო მნიშვნელოვან მისიას

ასრულებს. საჯარო მოხელის ქმედებაზე და, განსაკუთრებით, საჯარო სამსახურის სეკულარული ბუნების პრინციპზე დაყრდნობით, EMC-იმ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მითითებულ ფაქტზე რეაგირების თხოვნით მიმართა, რაზეც ორგანიზაციამ საქართველოს მართლამდიდებლურ ეკელსიასა და სახელმწიფოს შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისათვის განსაზღვრული განსაკუთრებული როლის არგუმენტის მითითებით უარი მიიღო. EMC-იმ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა ზემდგომ ადმინისტრაციული ორგანოში, თუმცა, ორგანიზაციას უარი ეთქვა იმ არგუმენტით, რომ ის არ იყო ადმინისტრაციული საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირი და განსახილველი საქმე მის უფლებრივ მდგომარეობაზე გავლენას არ ახდენდა;

3. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების რელიგიურ რიტუალში მონაწილეობის საქმე - პოლიციის ფორმიანმა ოფიციალურმა პირებმა კოლექტიური მონაწილეობა მიიღეს ღონისძიებაში კურთხევის მისაღებად. ღონისძიების ვიდეოჩანაწერი სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე აიტვირთა, რითაც მოხდა დემონსტრირება, რომ საჯარო ოფიციალური პირები დომინანტურ რელიგიას მიეკუთვნებიან. EMC-იმ სამინისტროს მიმართა მოთხოვნით, რომ დაწყებულიყო დისციპლინური სამართალწარმოება ინციდენტთან დაკავშირებით, თუმცა სამინისტრომ მოცემულ საქმეში დარღვევა არ დაადგინა.

4. საპატრიარქოსთან, ქუჩის მხატვრების მანიფესტის საქმეზე, პოლიციის მაღალი თანამდებობის პირების მიერ, პოლიციის შესახებ კანონის მოთხოვნების უხეშ დარღვევებზე რეაგირების მოთხოვნით, EMC-იმ შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით მიმართა. კერძოდ, 4 იანვარს, ქუჩის მხატვრებმა მარიამ ნატროშვილმა და გვანცა ჯიშკარიანმა, თბილისში, საპატრიარქოს მიმდებარე ტერიტორიასა და ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე, შავი სტენსილით დაწერეს 25 000 000, რითიც მართლმადიდებელი ეკლესიის არასეკულარული და დისკრიმინაციული დაფინანსების პოლიტიკა გააპროტესტეს. 8 იანვარს, ძველი თბილისის პოლიციის I განყოფილების უფროსმა მარიამ ნარტოშვილი და გვანცა ჯიშკარიანი თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე პოლიციის განყოფილებაში დაიბარა. პოლიციელს მარიამისთვის არ უთქვამს რა სტატუსით, ან რა საქმეზე უნდა

მისულიყვნენ პოლიციის განყოფილებაში. განყოფილებაში მათ, პოლიციელებთან ერთად, საპატრიარქოს უსაფრთხოების სამსახურის 3 თანამშრომელი დახვდა. როდესაც ნატროშვილმა და ჯიშკარიანმა ადვოკატის თანხლებით საუბარი მოითხოვეს, პოლიციელმა მათ უთხრა, რომ იურისტი არ სჭირდებოდათ, ვინაიდან დაკითხვა არ მიმდინარეობდა და სისხლის სამართლის საქმე არ იყო დაწყებული. პოლიციის უფროსი დაინტერესდა მარიამ ნატროშვილის და გვანცა ჯიშკარიანის მრწამსით და იკითხა ხომ ნამდვილად ქრისტიანები იყვნენ და ეკეთათ თუ არა ჯვარი.

გ. ჯიშკარიანი ახსნა-განმარტებაში აცხადებს, რომ ვინაიდან საუბარში და მათი „ჭკუის დარიგებაში“ პერიოდულად ერთვებოდნენ საპატრიარქოს წარმომადგენლები, მას გაუჩნდა განცდა, რომ პოლიციის უფროსის კაბინეტში ორი მხარე იყო: ერთ მხარეს მარიამი და გვანცა, ხოლო მეორე მხარეს პოლიცია და საპატრიარქოს წარმომადგენლები, რაზეც პოლიციის უფროსმა მათ განუცხადა: „შენ წარმოიდგინე, რომ მხოლოდ თქვენ ხართ და ჩვენ დანარჩენი საქართველო“.
ძველი თბილისის პოლიციის უფროსმა ნატროშვილსა და ჯიშკარიანს განუცხადა, რომ პატრიარქის ნება იყო ისინი არ დასჯილიყვნენ და შესაბამისად, პოლიციას არა ვინმეს დასჯა ან კონკრეტულ სამართალდარღვევაზე რეაგირება აინტერესებდა, არამედ სურდა, გაეგო მართლმადიდებლებს, ქართველებს, რატომ გაუჩნდათ სურვილი, მსგავსი წარწერა გაეკეთებინათ საპატრიარქოს შესასვლელთან, პატრიარქის დაბადების დღეს.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება აჩვენებს, რომ პოლიციის თანამშრომლები, გასაუბრების დროს, ინტერესდებოდნენ არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რომელიმე მუხლის დარღვევით, არამედ მარიამ ნატროშვილისა და გვანცა ჯიშკარიანის რელიგიური გრძობებით და მოახდინეს საკუთარი თავის იდენტიფიცირება დომინანტ რელიგიურ ჯგუფთან. EMC-ის შეფასებით, პოლიციის თანამშრომლებმა დაარღვიეს პოლიციის შესახებ კანონისა და საჯარო სამსახურის მოთხოვნები საჯარო სამსახურის სეკულარული (საერო) ხასიათის დაცვის შესახებ.

EMC მოითხოვდა, შსს-ის შეესწავლა ძველი თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის და ცალკეულ თანამდებობის პირთა მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევა

და მათ მიმართ დაეწყო დისციპლინარული დევნა, თუმცა, სამინისტრომ ორგანიზაციის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა დაუსაბუთებლობის გამო;

5. რასისტული დაჯგუფების „ბერგმანის“ საქმიანობა. 2015 წლის 19 სექტემბერს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე ორ შავკანიან მოქალაქეს თავს დაესხა ე.წ. „ბერგმანის დაჯგუფება“ და რასობრივი კუთვნილების გამო, ისინი სცემეს. აღნიშნულ ფაქტს EMC-ის თანამშრომელი შეესწრო და მითითებულ ფაქტზე სამართალდამცავებს შეატყობინა. EMC-ის თანამშრომელი, როგორც თვითმხილველი, გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი სიძულვილის ენას იყენებდა შავკანიანი მოქალაქეების მისამართით და ინტერესებოდა, რატომ დარეკა მან პოლიციის განყოფილებაში. მიუხედავად იმისა, რომ რასობრივი დისკრიმინაციის ფაქტზე, პოლიციის თანამშრომლები 19 სექტემბერსვე ინფორმირებული იყვნენ, მათ გამოძიება არ დაიწყეს, ვიდრე სავარაუდო დამნაშავეებმა, შავკანიან მოქალაქეებზე თავდასხმის დეტალები ვიდეორგოლის საშუალებით არ გაასაჯაროვეს სოციალური ქსელების მეშვეობით, რასაც საზოგადოების აღშფოთება მოჰყვა. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო გამოძიება ძველი თბილისის პოლიციის განყოფილებაში. 2015 წლის 19 სექტემბერს, პოლიციის განყოფილებაში პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომლის მიერ, რასობრივი მოტივით სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტი EMC-იმ დეტალურ ახსნა-განმარტებასთან ერთად გადაუგზავნა შსს-ის გენერალურ ინსპექციას და მოითხოვა ფაქტზე რეაგირება. გენერალური ინსპექციის ოფიციალური წერილით ირკვევა, რომ სამსახურეობრივი შემოწმების შედეგად, ფაქტი ვერ დადასტურდა, თუმცა თანამშრომლებს მიეცათ მკაცრი გაფრთხილება საქმიანობის დროს, დაიცვან ადამიანის უფლებები.

6. რელიგიურ თემებში ჩატარებული პილოტური კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, EMC-იმ საქართველოს 10 სხვადასხვა საჯარო სკოლაში, რელიგიური ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის შესაძლო შემთხვევებზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონიტორინგის ჩატარების მოთხოვნით დასაბუთებული განცხადებით მიმართა. წარდგენილი ფაქტები საჯარო სკოლებში სეკულარიზმის პრინციპის სისტემურ დარღვევასა და სკოლებში რელიგიური ატრიბუტიკის გამოყენებას, მოსწავლეების რელიგიურ ღვთისმსახურებაში ჩართვასა

და ცალკეულ შემთხვევებში რელიგიური უმცირესობების მარგინალიზაციის პრობლემას უკავშირდებოდა. სამინსიტრომ შეისწავლა EMC-ის განცხადება, თუმცა არც ერთ მითითებულ საქმეზე დარღვევა არ დაადგინა. მსგავსი განცხადებით EMC-იმ ასევე მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტს და აღნიშნულ სკოლებში შესაძლო დისკრიმინაციული პრაქტიკებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით, მონიტორინგის ჩატარება მოსთხოვა. აღნიშნულ საკითხზე EMC-ის უკვე ჰქონდა რამდენჯერმე ოფიციალური კომუნიკაცია დეპარტამენტთან, რომელიც საქმეს ამ დრომდე სწავლობს.